ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba



## ახალგორში სამოქალაქო აქტივისტი თამარ მეარაყიშვილი დააკავეს

გვ.3

17 აგვისტოდან

100 წიგნი




ადამიანები, რომლებმაც შეცვალეს მსოფლიო

იულიუს კეისარი

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

ხუთშაბათი, 17 აგვისტო, 2017 | №194 (7429) | ფასი: 50 თეთრი

# ნინო ბურჯანაძე: „ჩვენ ირმა ინაშვილს მხარს არ დავუჭერთ“



გვ.3






რატომ ვერ შედგა ოპოზიციური გაერთიანება



## ემზარ კვიციანი: „ბოკერია უნდა გასამართლდეს“

„ჩვენ არც მოსკოვს ვეტენებით და არც ვაშინგტონს“

გვ.4



## თენგიზ შარმანაშვილი: „ვინც ბუნებრივ ბარიერსაც ვერ გადალახავს, მათზე აღარც უნდა ვილაპარაკოთ“

გვ.2

## ჯემალ გამახარია: „პუტინის სოხუმში ჩასვლამ აფხაზები დააშინა“

გვ.5

„სოხუმის საკრებულოს წევრმა ფილიამ სოხუმის ქუჩისთვის პუტინის სახელის მინიჭება მოითხოვა, მაგრამ მხარი არავინ დაუჭირა“



## რა ელის გალის მოსახლეობას

გვ.5

ხაჯიმბა აფხაზეთის ომის მოხალისეებს მადლობას უხდის



ISSN 1987-9385

# თენგიზ შარმანაშვილი: „ვინც ბუნებრივ ბარიერსაც ვერ გადალახავს, მათზე აღარც უნდა ვილაპარაკოთ“

ნათია ხურცილავა



კონსტიტუციონალისტი, პარლამენტის თავმჯდომარის თანაშემწე სამართლებრივ საკითხებში თენგიზ შარმანაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის საარჩევნო სისტემაზე დაგეგმილ მოლაპარაკებაზე საუბრობს.

***– ბატონო თენგიზ, არის საუბარი, რომ ხელისუფლება ოპოზიციას სწორედ საარჩევნო ბარიერის ერთჯერადად გაუქმებას შესთავაზებს და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები სწორედ ბარიერის გარეშე ჩატარდება. თუ არის მსგავსი გამოცდილება სხვა ქვეყნებში?***

– დიახ, არის. მაგალითად, ევროპაში, კონკრეტულად, ჰოლანდიაში, ნიდერლანდების სამეფოში ბუნებრივი ბარიერით ტარდება არჩევნები. რას ნიშნავს საარჩევნო ბარიერის გარეშე არჩევნების ჩატარება? მარტივად რომ განვმარტო, ეს არის ხმების ის რაოდენობა, რომელიც ჰყოფნის თუნდაც ერთი კანდიდატის გადაყვანას.

ვინაიდან პროპორციული საარჩევნო სისტემის ამოქმედების ვადები გადაიწია 2020 წლის შემდეგი არჩევნებისთვის, პოლიტიკური პარტიები რომ მოემზადონ და არ აღმოჩნდნენ გაურკვეველ სიტუაციაში, თანაც, როგორც მოგეხსენებათ, ასევე უქმდება საარჩევნო ბლოკები, ამ გარდამავალი პერიოდისთვის შემოღებული იქნება ე.წ. ბუნებრივი ბარიერი, რომ ამ პარტიებს თუნდაც ერთი წარმომადგენელი ჰყავდეთ პარლამენტში.

ბუნებრივი ბარიერი მცირერიცხოვანი პარტიებისთვის დიდი შეღავათი უნდა იყოს და შანსი იმისთვის, რომ მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის უფრო სერიოზულად მოემზადონ.

***– ბუნებრივი ბარიერი ამ პარტიებისთვის გადარჩენის შანსია?***

– ასეთი შეფასება თქვენი, ჟურნალისტების საქმეა.

***– 6 სექტემბერს სტრასბურში შეხვედრა იქნება ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის. ამ შეხვედრისთვის ემზადება ხელისუფლება თუ რას უკავშირებთ ამ წინადადებას?***

– ბუნებრივიც არის, რომ ხელისუფლება ამ შეხვედრისთვის ემზადებოდეს. პარლამენტის თავმჯდომარემ პარტიებს მიმართა და უთხრა, რომ პარტიებმა გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით. რა შემთხვევაში დაუჭერენ მხარს კონსტიტუციის პროექტს და რა არის ის წითელი ხაზები, რომელთაც ოპოზიცია არ დათანხმდება.

ამდენად, ეს ძიება ორმხრივია. ხელისუფლებაც ელოდება ამ პარტიებისგან წინადადებებს, შემხვედრ ნაბიჯებს და ოპოზიციაც ელოდება ხელისუფლებისგან წინადადებას. ამ შემთხვევაში აუცილებელიც იყო, რომ პირველი წინადადება საპარლამენტო უმრავლესობის მხრიდან ყოფილიყო. ეს სწორედ ამის გამოძახილი უნდა იყოს. ეს ყოველივე ცოცხალი პროცესის მანიშნებელია.

***– თუმცა, ოპოზიცია ამბობს, რომ ხელისუფლებამ სამართლებრივი პროცესი დაასრულა, როდესაც კონსტიტუციის პროექტი ორი მოსმენით მიიღო, მესამე მოსმენა რედაქციული ხასიათის შენიშვნების გათვალისწინებას ეხება.***

– ერთ რამეს გეტყვით ამ საკითხზე: თუ იქნება ორმხრივი თანხმობა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის ვენეციის კომისიის შუამდგომლობით, მაშინ ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

***– კონკრეტულად?***

– შემდეგი საპარლამენტო არჩევნები 2020 წელს არის, მანამდე კი დარჩენილია 3 წელიწადი. ამ 3 წლის განმავლობაში შესაძლებელია, ამ კონკრეტული საკითხის ინიცირება მოხდეს პარლამენტში. ეს არის ერთ-ერთი ვარიანტი და ამას გეუბნებით, როგორც კონსტიტუციონალისტი. შეიძლება სხვა სამართლებრივი მექანიზმიც იყოს გამოყენებული, მაგრამ ეს ყველაზე მარტივი გზაა.

***– თქვენ საუბრობთ სამართლებრივ გზებზე.***

– დიახ, რა გზები შეიძლება იყოს გამოყენებული თუ შეთანხმება მოხდება. არ უნდა იყოს იმ გზის მოძებნა რთული, თუ როგორ უნდა გაფორმდეს სამართლებრივად მიღწეული შეთანხმება.

***– ოპოზიციის ერთი ჯგუფი ამბობს, რომ ეს არის სატყუარა, ოპოზიციაში განხეთქილების შესატანად გადმოგდებული. მაგალითად, ბურჯანაძე ამბობს, რომ პარლამენტს ქარვასლად ვერ გადააქცევს.***

– ბურჯანაძის იდეების კომენტირებისგან საერთოდ ყველა საკითხზე თავს შევიკავებ, მათ შორის ამ საკითხზეც.

***– ოპოზიციამ რაზე უნდა გააკეთოს მთავარი აქცენტი?***

– ქართულ პოლიტიკაში ბავშვობის ხანა უნდა დასრულდეს. არსებობდე მხოლოდ იმისთვის, რომ ერთი პატარა პარტია, ვიღაცასთან ბლოკში შევიდე და იქნება რაღაც გავაკეთო როგორმე – ამ იდეამ რა მოგვიტანა 25 წლის განმავლობაში, კარგად ვნახეთ. ამ ხნის განმავლობაში ვერც პარტიული სისტემა ჩამოყალიბდა და ვერც ვერაფერი ვერ ჩამოყალიბდა. ამიტომ ვამბობ, რომ სწორი გადაწყვეტილებაა საარჩევნო ბლოკების გაუქმება.

ეს აქამდეც უნდა გაკეთებულიყო. საარჩევნო ბლოკები უნდა აიკრძალოს. პარტიები უნდა დასხდნენ და მოიფიქრონ, როგორ გააგრძელონ პოლიტიკური მოღვაწეობა. თუ შეძლებენ დამოუკიდებლად არჩევნებში მონაწილეობას და შედეგის დადებას, უნდა გააგრძელონ დამოუკიდებლად არსებობა. თუ არა, მაშინ უნდა გამსხვილდნენ და უნდა შექმნან უფრო სოლიდური პოლიტიკური ორგანიზაციები.

ეს საკონსტიტუციო ცვლილება კარგი ნაბიჯია. 2024 წლისთვის, როდესაც სრულად ამოქმედდება პროპორციული საარჩევნო სისტემა და საარჩევნო ბარიერიც 5% იქნება, პარტიები მას მომზადებულები უნდა შეხვდნენ, მანამდე კი ერთგვარი გარდამავალი პერიოდი იქნება და სწორედ ამას ემსახურება ეს ბუნებრივი ბარიერიც. ამ შანსის არგამოყენება უზარმაზარი შეცდომა იქნებოდა ოპოზიციის მხრიდან.

ბუნებრივ ბარიერს ვინც ვერ გადალახავს, ანუ ვინც ერთ დეპუტატსაც ვერ გაიყვანს, მათზე სერიოზული, სოლიდური ლაპარაკი, როგორც პოლიტიკოსებზე, აღარ ღირს.

***– პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე სრულად გადასვლა 2024 წელს დაფიქსირებული თუ არის კონსტიტუციის ახალ რედაქციაში?***

– დიახ, რა თქმა უნდა, ეს დაფიქსირებულია ძირითად ტექსტში. 2020 წელს შერეული სისტემით არჩევნების ჩატარება გარდამავალ ტექსტშია ჩაწერილი, როგორც ერთჯერადი აქტი.

***– ბატონო თენგიზ, თქვენ ჩვენთან ინტერვიუში განაცხადეთ, რომ ოპოზიციამ 2020 წელს პროპორციული სისტემის ამოქმედების ლობირება უნდა მოახდინოს და დანარჩენ 3 საკითხს შეეშვას.***

– პოლიტიკა შესაძლებლობების ხელოვნებაა. თუ ისეთი პოლიტიკური განწყობაა, რომ ეს შეუძლებელია, მაშინ პოლიტიკოსებმა ისეთი ვარიანტზე უნდა იზრუნონ, რომელიც პოლიტიკურ პროცესს არ დააზარალებს.

***– როგორ ფიქრობთ, როგორ დასრულდება პროცესი სტრასბურში 6 სექტემბერს?***

– გააჩნია, რა განწყობით ჩავლენ მხარეები. თუ წინასწარი განწყობებით ჩავლენ, რომ ვერ შედგეს შეთანხმება, მაშინ ვერ შედგება. სტრასბურს ერთი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მხოლოდ: ვინაიდან მხარეებს შორის ნდობის ფაქტორი მოიკოჭლებს, მედიატორის წინაშე დადებული ვალდებულებების შესრულების მეტი გარანტიაა. მით უფრო, თუ ეს მედიატორი ისეთი დონის საერთაშორისო ორგანიზაციაა, როგორიც ვენეციის კომისიაა.

# გიორგი ვაშაძე: „უმჯობესია, 3%-იანი ბარიერი არსებობდეს, ვიდრე უბარიერო სისტემა იყოს“

ნონა ცაბაძე

ხელისუფლება ოპოზიციას უბარიერო სისტემას სთავაზობს. ოპოზიციის დიდი ნაწილი შემოთავაზებას არ იღებს და ამას გადმოგდებულ საკენკს უწოდებს, რომლის აკენკვასაც არ აპირებს. „ოცნების“ ახალ ინიციატივაზე „ახალი თაობის“ კითხვებს გიორგი ვაშაძე და გიორგი ახვლედიანი პასუხობენ.



**გიორგი ვაშაძე – ახალი საქართველოს ლიდერი:**

– საკონსტიტუციო ცვლილებები არის პაკეტი ცვლილებებისა და ცალკე რომელიმე ინიციატივა არასწორად მიმაჩნია, რომ განვიხილოთ. რაც შეეხება უბარიერო სისტემას, ჩვენ უკვე ამ გაერთიანებაში, რომელიც დავაფუძნეთ, გვქონდა ამაზე მსჯელობა და ჩვენი პოზიციაა, რომ უმჯობესია მცირე ბარიერი არსებობდეს, თუნდაც 3%, ვიდრე უბარიერო სისტემა იყოს. ეს არის საკენკი, რომელიც ოპოზიციურმა პარტიებმა არ უნდა მიიღონ. ოპოზიციური ერთობა არის ძალიან მნიშვნელოვანი, რადგან ამ ოპოზიციურმა ერთობამ აიძულა „ქართული ოცნება“, რომ თვითონ იფიქროს უკვე გარკვეულ გამოსავალზე იმ ჩიხიდან, რომელშიც შეიყვანა საკონსტიტუციო განხილვების პროცესი.

***– ფიქრობთ, რომ ეს საკენკია ოპოზიციისთვის?***

– ეს რის უბრალოდ ცალკეული თემები, რომელიც ამოგლეჯილად მოდის საკონსტიტუციო ცვლილებების თემიდან, რაც ვფიქრობთ, რომ არასწორია.

***– ხელისუფლება კონსულტაციებს დაიწყებს ოპოზიციასთან ამ საკითხებზეო, რამდენად მიიღებთ ამ შეთავაზებას?***

– გააჩნია, რას გვთავაზობს, მე ვიცი ერთი, რომ მთავარი კონსულტაციები იქნება 6 სექტემბერს ვენეციის კომისიასთან, მანამდე შევხედოთ, რა განცხადებებს გააკეთებენ, თუ რამე ლოგიკური დავინახეთ, ჩვენ ნამდვილად არა ვართ პროცესის ჩაშლის მომხრე და მასში მონაწილეობას მივიღებთ. თუმცა ყველას უნდა გვესმოდეს, რომ უნდა იყოს კომპლექსური მსჯელობა საკონსტიტუციო ცვლილებებზე და არა ამოგლეჯით კონკრეტულ ინიციატივაზე. ჩვენთვის ეს კონკრეტული ინიციატივები მიუღებელია.

***– ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის მხრიდან უკვე გაკეთდა განცხადებები, რომ ისინი მზად არიან სასაუბროდ, საკითხის განსახილველად. შესაძლოა დაიშალოს ოპოზიციური ერთობა?***

– არ მგონია, რადგან ვფიქრობ, ოპოზიციაში ყველას ესმის, რომ დაშლილი ოპოზიციური ერთობა, ეს არის ქართული ოცნების ინტერესი.

❖ ❖ ❖

გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის წევრი **გიორგი ახვლედიანი** მიიჩნევს, რომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დათანხმდეს ოპოზიცია ამ შემოთავაზებას.



აქ ერთი მარტივი მიზეზია, დღეს ხელისუფლება ყველაფერს ცდილობს, ყველა მეთოდოლოგიას მიმართავს, ყველანაირი მოსყიდვის მცდელობას აქვს ადგილი, რომ როგორმე ოპოზიციურმა პარტიებმა გაუპრავონ ხელისუფლებას 2020-ში ერთჯერადად მაჟორიტარული სისტემის არსებობა. სწორედ ამაზეა მთელი ხელისუფლების მცდელობა გადართული. ჯერ თავიდან შემოაგდეს, რომ აი ბლოკების შექმნის უფლებას მოგცემთ და გაგვიპრავეთ მაჟორიტარული სისტემა...

***– ამან არ იმუშავა?***

– დაინახეს, რომ ამან მაინცდამაინც დიდი რეზონანსი ვერ გამოიწვია, სულ რაღაც ორი-სამი პარტია „დაკერეს“ ამ იდეით. მიხვდნენ, რომ საკენკი ცოტაა. ახლა გადმოყარეს ცოტა უფრო მეტი საკენკი და შემოგვთავაზეს უბარიერო სისტემა. აი მეტი რა გინდათ, ყველა ერთკაციანი პარტია მოხვდებით პარლამენტშიო.

***– დათანხმდებიან ამას ოპოზიციური პარტიები?***

– არავინ ამას არ დათანხმდება, არც ერთი სოლიდური პარტია! ეს არის გათვლილი მხოლოდ და მხოლოდ ამ ერთკაციან პარტიებზე.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ნინო ბურჯანაძე: „ჩვენ ირმა ინაშვილს მხარს არ დავუჭერთ“

## რატომ ვერ შედგა ოპოზიციური გაერთიანება

შორენა მარსაგიშვილი



რამდენიმე კვირის წინ ცნობილი გახდა, რომ ოპოზიციური პარტიების ერთი ნაწილი თბილისის მერობის პოსტზე საერთო კანდიდატურის წარდგენას აპირებდა. მოლაპარაკებები ქართულ დასს, დემოკრატიულ მოძრაობას, ლეიბორისტებს, თავისუფალ საქართველოს და პატრიოტთა ალიანსს შორის მიმდინარეობდა.

მართალია, ერთიანი კანდიდატის დასახელების სურვილი დიდი იყო, მაგრამ ქართულმა ხასიათმა თავისი ქნა და ეს გაერთიანება არ გამოვიდა. პატრიოტთა ალიანსმა თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობა დამოუკიდებლად გადაწყვიტა.

გუშინ, 16 აგვისტოს, ალიანსის ლიდერებმა საგანგებო ბრიფინგზე პარტიის თბილისის მერობის კანდიდატი დაასახელეს. პარტიის რჩეული პარლამენტის ვიცე-სპიკერი ირმა ინაშვილი გახდა, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ აქტიურად უჭერდა მხარს ერთიანი კანდიდატურის დასახელების იდეას.

პარტიის ლიდერ დავით თარხან-მოურავის განცხადებით, თვითმმართველობის არჩევნები პოლიტიკურ პროცესად უნდა იქცეს. მისი თქმით, ამის გაკეთება მხოლოდ ინაშვილს შეუძლია.

— მომავალ არჩევნებს ჩვენ არ უნდა შევხედოთ, როგორც მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს, ეს უნდა იქცეს პოლიტიკურ პროცესად მასშტაბური საპროტესტო აქციების ფონზე და საჭიროა ფიგურა, რომელიც შეძლებს ეს პროცესი გადააქციოს პოლიტიკურ პროცესად და ეს ირმა ინაშვილი იქნება, — განაცხადა თარხან-მოურავმა.

მერობის კანდიდატის თქმით, მომავალმა არჩევნებმა ადამიანებს რწმენა უნდა დაუბრუნოს.

— ეს უნდა იყოს ბრძოლა თავისუფლებისათვის, არჩევნები ჩაივლის მასშტაბური საპროტესტო აქციების ფონზე, — განაცხადა ირმა ინაშვილმა, რომელიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ საერთო ოპოზიციური კანდიდატის დასახელებას უჭერდა მხარს.

როგორც ამბობენ, ის აღფრთოვანებული იყო ოპოზიციის გაერთიანების იდეით. ინაშვილი პირად საუბრებში აღნიშნავდა კიდეც, რომ მის პარტიას არც ისეთი მაღალი რეიტინგი ჰქონდა, როგორც საპარლამენტო არჩევნების დროს იყო და აღარც პარტიული რესურსი უწყობდა ხელს, დამოუკიდებლად გასულიყო ადგილობრივ არჩევნებში.

აქედან გამომდინარე ცოტა გასაკვირია, რატომ თქვა ალიანსმა უარი სხვა პარტიებთან გაერთიანებაზე.

მოლაპარაკებები მიდიოდა ლეიბორისტებთანაც. ქვეყნის მთავარი ლეიბორისტი რამდენჯერმე შეხვდა დემოკრატიული მოძრაობის ლიდერ ნინო ბურჯანაძეს. რაზე მოილაპარაკეს ან რაზე ვერ შეთანხმდნენ, ამას მხარეები არ აკონკრეტებენ. ფაქტი ისაა, რომ ლეიბორისტები მალევე გამოეთიშნენ ამ პროცესს.

საერთოდ, ეს პარტია ყველა არჩევნებში დამოუკიდებლად ღებულობს მონაწილეობას და მისგან ასეთი ნაბიჯი გასაკვირი არც იყო.

მერობის საერთო კანდიდატს თავისუფალი საქართველო და დემოკრატიული მოძრაობა დაასახელებენ. დემოკრატიული მოძრაობას საკუთარ კანდიდატურად დიმიტრი ლორთქიფანიძე ჰყავს დასახელებული, თავისუფალ საქართველოს — კახა კუკავა.

რომელ კანდიდატზე შეჯერდებიან პარტიები, ეს ჯერ ცნობილი არ არის. კულუარებში ამბობენ, რომ ეს კახა კუკავა იქნება. დიმიტრი ლორთქიფანიძე ერთხელ უკვე იყო მერობის კანდიდატი. 2014 წლის არჩევნებზე მან მესამე ადგილი დაიკავა.

თუ პარტიებმა კუკავაზე შეაჩერეს არჩევანი, ლორთქიფანიძე საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატი იქნება. ლორთქიფანიძის კანდიდატურის მოწონების შემთხვევაში, უკვე კუკავა გახდება საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატი.

ამ თემაზე არც დემოკრატიულ მოძრაობაში და არც თავისუფალ საქართველოში არ საუბრობენ. დღეს, 17 აგვისტოს, კახა კუკავას ბრიფინგი აქვს დაგეგმილი და, შესაძლოა, ამ თემაზე რამე თქვას.

ნინი ბურჯანაძემ, მართალია, გააკეთა კომენტარები, მაგრამ ამ საკითხზე საუბარი არ ისურვა. ის იმაზე დარდობდა, რომ ოპოზიციური ერთობა ვერ შედგა.

მისი თქმით, პატრიოტთა ალიანსმა ხელი არ შეუწყო ასეთი ერთობის შექმნას. ამასთან, ბურჯანაძემ ისიც აღიარა, რომ ყველა პარტიას აქვს უფლება საკუთარი დღის წესრიგით იმოქმედოს.

— ცალკე დღის წესრიგი შეიძლება ჰქონდეს და უნდა ჰქონდეს ნებისმიერ პოლიტიკურ ორგანიზაციას და ნებისმიერ პოლიტიკურ პარტიას, მაგრამ ეს დღის წესრიგი არ უნდა იყოს მთლიანად მორგებული მხოლოდ პარტიის ვიწრო ინტერესებზე. ის უნდა ემსახურებოდეს საერთო საქმეს. განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ სხვა პოლიტიკურმა პარტიებმა უკვე დაასახელეს კანდიდატები და ამან შეუშალა ხელი დანარჩენების ერთობას, არ მიმაჩნია სწორად.

მე არ მგონია, რომ პატრიოტთა ალიანსი აპირებდა ნაციონალურ მოძრაობასთან ერთად ერთობლივი კანდიდატის დაყენებას, ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაგალითად, უკვე დაყენებული კანდიდატების არსებობას.

სამწუხაროა, რომ პატრიოტთა ალიანსმა არაფერი არ გააკეთა იმისთვის, რომ მეტ-ნაკლებად ოპოზიციური ერთობა შემდგარიყო, — აღნიშნა მედიასთან საუბარში ბურჯანაძემ.

დემოკრატიული მოძრაობის ლიდერის მტკიცებით, ინაშვილის კანდიდატურის დაყენება მათთვის მოულოდნელობა იყო.

— ბოლო მომენტამდე თითქოს ამბობდნენ, რომ მზად იყვნენ, კონსულტაციები გაეგრძელებინათ, მაგრამ ისე გამოაცხადეს საბოლოო გადაწყვეტილება, რომ ამის თაობაზე ოპოზიციური პარტიები არ ჩაუყენებიათ საქმის კურსში, — ამბობს დემოკრატიული მოძრაობის ლიდერი.

ბურჯანაძე ფიქრობს, რომ რაკი პატრიოტთა ალიანსმა ერთიან კანდიდატურაზე უარი თქვა, მას ხელისუფლების დამარცხება არ უნდა.

მისი აზრით, ინაშვილის პარტიას შემდეგი მიზნები აქვს:

— ჩემთვის ეს არის ძალიან ნათელი ნიშანი იმისა, რომ პატრიოტთა ალიანსის ამოცანა არის არა ხელისუფლების დამარცხება, არამედ რომელიმე ოპოზიციურ პარტიაზე უფრო მეტი ხმების აღება, რათა ოპოზიციურ ფლანგზე დაიმკვიდროს ადგილი.

ამ ეჭვებს დემოკრატიული მოძრაობის ლიდერს ის განცხადებებიც ულრმავებს, რომლებიც ალიანსის მხრიდან კეთდებოდა.



— ისინი ხშირად აკრიტიკებენ საპარლამენტო უმრავლესობას, მაგრამ არაფერს ამბობდნენ ბიძინა ივანიშვილზე. საპარლამენტო არჩევნებიდან გამომდინარე, ეს არ მიკვირს, ეს მათი გადასაწყვეტი გახლავთ, — აცხადებს ბურჯანაძე.

მისი თქმით, დემოკრატიული მოძრაობა ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ხელისუფლებას დისკომფორტი ეგრძნო და ოპოზიცია გაძლიერებულიყო.

— ნამდვილად სიამაყით შემიძლია ვთქვა, მე და ჩემი თანაგუნდელები პრაქტიკულად ყველაფერს ვაკეთებდით იმისათვის, რომ ხელისუფლებისათვის მართლა სერიოზული პრობლემები შეგვექმნა და ოპოზიციური ერთობა ჩამოგვეყალიბებინა, — აღნიშნავს დემმოძრაობის ლიდერი.



მისი თქმით, მას სურს ოპოზიციის სიძლიერე, მაგრამ დემოკრატიული მოძრაობა ინაშვილის კანდიდატურას მხარს არ დაუჭერს.

— ჩვენ ქალბატონ ირმას არ დავუჭერთ მხარს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ პატრიოტთა ალიანსი არ მოიქცა ლამაზად. მათ ოპოზიციური პარტიებისთვის ის მაინც უნდა ეთქვათ, რომ მოლაპარაკებებიდან გამოსვლას და დამოუკიდებელი კანდიდატის დაყენებას აპირებდნენ.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, როცა პოლიტიკური პარტიის, ამ შემთხვევაში პატრიოტთა ალიანსის მთავარ ამოცანად იქცა არა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა, არამედ რომელიღაცა ოპოზიციური პარტიებისთვის ხმების წართმევა, მაშინ ჩვენი გზები ნამდვილად გაიყოფა, — განაცხადა ბურჯანაძემ.

❖ ❖ ❖

პარლამენტის ყოფილ სპიკერს არ დაუკონკრეტებია, თუ რომელ პარტიას შეიძლება პატრიოტთა ალიანსმა ხმები წაართვას, თუმცა ამ პარტიის გამოცნობა ძნელი არ არის. ნინო ბურჯანაძეს მხედველობაში თავისი პარტია ჰყავდა.

პატრიოტთა ალიანსს და დემოკრატიულ მოძრაობას დაახლოებით ერთნაირი პლატფორმა აქვს. ორივე პარტია პრორუსულად ითვლება. ექსპერტებმა არაერთხელ თქვეს, რომ გაერთიანების შემთხვევაში, ამ პარტიებს გაცილებით მეტი შანსები აქვთ.

ამ ორი პარტიის შესაძლო გაერთიანებაზე საპარლამენტო არჩევნების წინაც იყო საუბარი. მათ გაერთიანება მაშინაც ვერ შეძლეს. მაშინ დემმოძრაობა უფრო დაზარალდა, ისინი ქუჩაში დარჩნენ, პატრიოტები პარლამენტში შევიდნენ.

საინტერესოა, რა შედეგს მიიღებენ ეს პარტიები თვითმმართველობის არჩევნებზე ერთმანეთისთვის ხმების წართმევით.

# ირაკლი აბესაძე: „პარტიები არ აპირებენ „ქართულ ოცნებას“ მისცენ შესაძლებლობა, დიალოგი ამომრჩევლის მოსატყუებლად გამოიყენოს“

„ევროპული საქართველოს“ წევრის ირაკლი აბესაძის თქმით, „ქართულ ოცნებას“ არ უნდა მიეცეს საშუალება, რომ 2020 წლისთვის უსამართლო საარჩევნო სისტემით ეცადონ ხელისუფლების შენარჩუნებას:

— იმისათვის, რომ 2020 წლისთვის უზრუნველყოფილი იქნეს სამართლიანი არჩევნების ჩატარება და ხელისუფლების მშვიდობიანი გზით შეცვლა, რა თქმა უნდა, ჩვენ დიალოგისთვის მზად ვართ, მაგრამ მეორე მხრივ, პარტიები არ აპირებენ „ქართულ ოცნებას“ მისცენ შესაძლებლობა, ეს დიალოგი გამოიყენონ ამომრჩევლის მოსატყუებლად, თვალში ნაცრის შესაყრელად და ეს თუ ასე არ არის, მაშინ ჩვენი პოზიცია ერთიანი და უცვლელი რჩება. პირველ რიგში 2020 წლისთვის უნდა გაუქმდეს მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა, უნდა დავიწყოთ საუბარი პროპორციული წესით არჩევნების ჩატარებაზე, განვიხილოთ, როგორ უნდა მოხდეს ეს. თუმცა პრინციპულია, რომ გაუნაწილებელი მანდატებიც უნდა განაწილდეს პროპორციულად პარტიებს შორის. ასევე უნდა ვისაუბროთ პრეზიდენტის არჩევის წესზე და თუ ვერ ვთანხმდებით პრეზიდენტის არჩევნების პირდაპირ წესზე, მაშინ მნიშვნელოვანია ჩატარდეს პლებისციტი და ასახული იქნეს ქართული საზოგადოების მოსაზრება კონსტიტუციაში. ამ შემთხვევაშიც „ქართული ოცნება“ არის მარტო, ქართული პოლიტიკური სპექტრი, ოპოზიციური პარტიები არიან ერთიან პოზიციაზე და „ქართულ ოცნებას“ არ უნდა მიეცეს საშუალება, რომ 2020 წლისთვის უსამართლო საარჩევნო სისტემით, ხელოვნურად ეცადონ ხელისუფლების შენარჩუნებას, — განაცხადა ირაკლი აბესაძემ.



# მმართველი გუნდისა და ოპოზიციის შეხვედრა 18 აგვისტოს გაიმართება

„ნიუპოსტის“ ინფორმაციით, საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით მმართველი გუნდისა და ოპოზიციის შეხვედრა 18 აგვისტოს პარლამენტში გაიმართება.

„ქართულმა ოცნებამ“ საკონსტიტუციო რეფორმის საკითხზე დიალოგი კვალიფიციურ პარტიებს შესთავაზა, ამასთან დაკავშირებით ბრიფინგი უმრავლესობის ლიდერმა არჩილ თალაკვაძემ გამართა. ოპოზიციური პარტიები დიალოგისთვის მზადყოფნას გამოთქვამენ, თუმცა აცხადებენ, რომ არსებობს პრინციპული საკითხები, მათ შორის საარჩევნო სისტემა და პრეზიდენტის არჩევის წესი, რომელთან დაკავშირებითაც ხელისუფლების მხრიდან დათმობებზე წასვლის გარეშე დიალოგს აზრი არ ექნება.

# ახალგორში სამოქალაქო აქტივისტი თამარ მეარაყიშვილი დააკავეს

გუშინ, 16 აგვისტოს, ახალგორში დღის მეორე ნახევარში სამოქალაქო აქტივისტი თამარ მეარაყიშვილი დააკავეს. ინფორმაციას ამის შესახებ „ეხო კავკაზა“ ავრცელებს. დაკავებამდე მეარაყიშვილმა მათ კორესპონდენტთან დაკავშირება შეძლო და განაცხადა, რომ ის გააჩერა, ე.წ. პროკურატურის გამომძიებელმა ალან ბიაზროვმა ყოველგვარი განმარტებების და დოკუმენტების წარდგენის გარეშე და განუცხადა, რომ ორდერი და განმარტებები მაშინ წარედგინებოდა, როდესაც პროკურატურაში გადაიყვანდნენ:

— პროკურატურის თანამშრომელი ალან ბიაზროვი მაკავებს, მე არ მყავს ადვოკატი, არ აკეთებენ არანაირ განმარტებას, რა ხდება ჩემს თავს. მინდა, რომ ეს ამბავი გაავრცელოთ, — განუცხადა თამარ მეარაყიშვილმა „ეხო კავკაზა“-ს კორესპონდენტს.



თამარ მეარაყიშვილი საოკუპაციო რეჟიმის პროკურატურის მხრიდან ზეწოლაზე ადრეც საუბრობდა. ის ბოლოს აგვისტოს დასაწყისში დაკითხეს, „ეხო კავკაზა“-სთვის მიცემული კომენტარის გამო. 8 ივნისს კი სამოქალაქო აქტივისტი თვითმხილველების თვალწინ გაიტაცეს და ცხინვალში წაიყვანეს, ის მხოლოდ 24 საათის შემდეგ გაათავისუფლეს.

მეარაყიშვილი რაიონის პრობლემურ საკითხებზე და ხელმძღვანელ პირთა ქმედებების შესახებ ფეისბუკის საკუთარ გვერდზე აქტიურად წერს, ის რესპონდენტის სტატუსით თანამშრომლობს რუსულენოვან გამოცემა „ეხო კავკაზასთანაც“. საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლების უკმაყოფილებას სწორედ ეს ფაქტი იწვევს.

**ნიუპრესი**

# ბაჩუკი ქარდავა: „ხელისუფლება კულუარულად მუშაობს“

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ბაჩუკი ქარდავა საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით მმართველი გუნდისა და ოპოზიციის შეხვედრის შესახებ ფეისბუქზე პოსტს აქვეყნებს.

— კარგად მესმის, კონსენსუსის მიღწევისთვის დიალოგს ალტერნატივა არ აქვს, მაგრამ გუშინდელი განცხადების სრული ანალიზის შემდეგ, აშკარად ჩანს, ხელისუფლების რეალური მიზანი. მაშინ, როცა 3 თვეა დიალოგზე ვსაუბრობთ, ამ ფონზე, 6 სექტემბრის წინ, ხაზს ვუსვამ, სტრასბურში მოლაპარაკებებამდე, შუალედური შეხვედრის „თათარიახნად“ მოფიქრება, იმ სასაცილო არგუმენტით, რომ ევროპაში ყველა ერთნი ვართ და არ შევრცხვეთ, ძალიან ბევრ ეჭვებს ბადებს. მით უფრო, იმ ფონზე, როცა ევროპის დედაქალაქებში პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ „შპიონებს“ აგზავნი.

აქვე, დაზუსტებით შემიძლია ვთქვა, რომ ხელისუფლება კულუარულად უკვე მუშაობს, დაანონსებული დიალოგის პროცესში, უარგუმენტოდ და ხელოვნურად ჩართოს ვაჭრობაზე წამსვლელი პარტიები, პრინციპული პოზიციის მქონე პარტიების „მოტეხვის“ ხარჯზე.

უკვე ნათელია, ხელისუფლება ცდილობს გამართოს დიალოგი დიალოგისთვის და ბლოკებითა და ბარიერით მიაღწიოს, თუნდაც, ნაწილობრივი კონსენსუსის იმიტაციას, — წერს ედპის თავმჯდომარე.

# ემზარ კვიციანი: „ბოკერია უნდა გასამართლდეს“

შორენა მარსაგიშვილი





პატრიოტთა ალიანსმა თბილისის მერად ირმა ინაშვილის კანდიდატურა წარადგინა. ალიანსი თვითმმართველობის არჩევნების წინ მძლავრი საპროტესტო ტალღის აგორებას გეგმავს. რაში სჭირდებათ საარჩევნოდ აქციები, რა იქნება მათი მთავარი მოთხოვნა, რატომ შეჩერდა არჩევანი ირმა ინაშვილზე? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი ემზარ კვიციანი ესაუბრება.

***– პატრიოტთა ალიანსმა თბილისის მერად ირმა ინაშვილის კანდიდატურა დაასახელა. რატომ შეჩერდა მასზე არჩევანი?***

– ვილაცაზე ხომ უნდა შეგვეჩერებინა არჩევანი. ირმა ინაშვილი მერობის კანდიდატებში ყველაზე ღირსეული კანდიდატურაა. ვიდრე მისი კანდიდატურის შერჩევის სხვა მიზეზებსაც დავასახელებ, რაღაც თარიღებზე მინდა თქვენი მკითხველის ყურადღების გამახვილება.

ჩემგან ინტერვიუს რომ იწერთ, არის 16 აგვისტო, 2 დღის წინ იყო 14 აგვისტო. 14 აგვისტო არის საქართველოს ისტორიაში ყველაზე ტრაგიკული თარიღი. 1992 წელს ამ დღეს დაიწყო საქართველოს დაქცევა. 14 აგვისტოს მთელი დღე ველოდი, რომ რომელიმე ჟურნალისტი შემომეხმიანებოდა, მაგრამ ყველამ ზურგი მაქცია. არავინ არ მოისურვა, რომ ჩემი პირით სიმართლე გაეგო ხალხს.

სპეცსამსახურები, ქართული და უცხოური პოლიტიკური ელიტა შეთანხმდნენ, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო არასდროს არ დაგვიბრუნდება.

ახლა ისევ ირმას დავუბრუნდები და გავიმეორებ, რომ ის საუკეთესო კანდიდატურაა. ყველა ქალაქს და, მით უმეტეს, დედაქალაქს მერად სჭირდება ისეთი ადამიანი, რომელიც არავისზე არ იქნება დამოკიდებული. ირმა არავისზე არ არის დამოკიდებული და ის თავის გადაწყვეტილებებში ყოველთვის თავისუფალი იქნება.

***– ამბობთ, რომ ირმა ინაშვილი არავისზე არ არის დამოკიდებული, მაგრამ პატრიოტთა ალიანსი მოაზრებით პრორუსულ ძალად. არაერთხელ თქმულა იმის შესახებაც, რომ თქვენი ლიდერები მითითებებს მოსკოვიდან ღებულობენ. ალიანსის თბილისის მერობის კანდიდატი რუსეთზე არ იქნება დამოკიდებული?***

– ირმა ინაშვილი მხოლოდ ქართველ ხალხზეა დამოკიდებული. რაც შეეხება მოსაზრებებს ჩვენს პოლიტიკურ ორიენტაციაზე, ვის მიერ მოვიაზრებით ჩვენ პრორუსულ ძალად, რუსეთის აგენტურისაგან? ტელევიზიების 80% იმაზე მუშაობს, რომ ჩვენ პრორუსულებად მოვინათლოთ.

სხვათა შორის, მაგ თემაზე ყველაზე დიდი ზეწოლა სწორედ რუსეთიდან მოდის, ეს ზეწოლა იმიტომ მოდის, რომ ჩვენ ვართ ეროვნული ძალა.

***– რაზე მოდის ზეწოლა რუსეთიდან, იქნებ უფრო კონკრეტულად გვითხრათ?***

– რაზე მიდის და იმაზე, რომ ჩვენზე ილაპარაკონ, პრორუსულები არიანო. გიმეორებთ, ჩვენ ვართ ეროვნული ძალა, რომელიც არც მოსკოვს ეტენება და არც ვაშინგტონს. პატრიოტთა ალიანსი სუფთა ქართული პოლიტიკის გამტარებელი ძალაა.

მოგეხსენებათ, ახლა ჩვენ აფხაზებთან და ოსებთან ვცდილობთ საერთო ენის გამონახვას. უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ ჩვენ აფხაზებთან და ოსებთან არ მიგვიშვან. ამაზე დილიდან დაღამებამდე მუშაობს მეხუთე კოლონაც.

მეხუთე კოლონას სანამ არ გავაჩერებთ, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაზე არც კი უნდა ვიოცნებოთ.

***– თვითმმართველობის არჩევნების წინ პატრიოტთა ალიანსი აქციების დაწყებას გეგმავთ. თქვენი ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა გიგა ბოკერიას გასამართლებაა. ყოფილი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლების მიმართ არ გაქვთ პრეტენზიები?***

– ჩვენ მიერ დაანონსებულ აქციებზე მთავარი მოთხოვნა სამართლიანობის აღდგენაა. სამართლიანობა ვერ აღდგება, თუ ბოკერია არ გასამართლდა. ბოკერიასთან ერთად სხვა ნაციონალების დაჭერაც საჭიროა.

პირადად მე 2006 წლის კოდორის მოვლენების გამოძიებას მოვითხოვ. ამ საქმის გამოძიებას უკვე 11 წელია ვითხოვ, მაგრამ არავის არ აინტერესებს. პოზიციაც და ოპოზიციაც მხოლოდ 2008 წლის აგვისტოს ომის გამოძიებაზე საუბრობენ.

## „ჩვენ არც მოსკოვს ვეტენებით და არც ვაშინგტონს“

***– აღარც ამ თემაზე აღარ საუბრობენ.***

– ხანდახან მაინც ხომ ახსენებენ. 2006 წელი ყველამ ამოშალა მეხსიერებიდან. ხელისუფლებაშიც მრავლად არიან ადამიანები, რომლებიც თავად მონაწილეობდნენ ამ ღალატში.

ფეისბუქის გვერდზე ირაკლი ოქრუაშვილის მწვადებთან მარიაჟი გავაზიარე. ჟურნალისტები ჰყავდა დაპატიჟებული და სააკაშვილის გამართლებას ცდილობს.

***– რანაირად ამართლებს, არსად უთქვამს, სააკაშვილი მართალი იყოო.***

– გამართლებაა, აბა რა არის, სააკაშვილზე იძახის, შეცდომა დაუშვაო. ვინც მაგაზე ამბობს, შეცდომა დაუშვაო, ყველა მას ეხმარება. როგორ შეიძლება გამიზნულ ღალატს შეცდომა უწოდო? ოქრუაშვილისაც კარგად მესმის, ის ვალდებულია, „გააპრავოს“ სააკაშვილი.

ის ამ გამიზნული ღალატის მონაწილე იყო. მასთან ერთად ამაში ვანო მერაბიშვილი, მიხეილ სააკაშვილი, გიგა ბოკერია და გივი თარგამაძე მონაწილეობდნენ. მათ რიგებში იყო ირაკლი ალასანიაც. ამ უკანასკნელს ოქრუაშვილთან ერთად კოდორის ჩაბარებაში მთავარი როლი აქვს შესრულებული. მთლად მთავარი, რა თქმა უნდა, სააკაშვილი იყო.

ამერიკის საელჩოდან რეკომენდაცია ან დასტური რომ არ ყოფილიყო, ესენი ამდენს ვერ გაბედავდნენ.

***– ამერიკას რატომ უნდა სდომებოდა ხეობის ჩაბარება?***

– რატომ? მე ვარ პირადად იმის მოწმე, როგორ გვეუბნებოდა ოთარ შალიკაშვილი, ხეობა არის ჩასაბარებელიო. ეს ოთარ შალიკაშვილი ხომ იცით, ვინაა? ამერიკელი გენერლის ჯონ-მალხაზ შალიკაშვილის მკვიდრი ძმაა. 2002 წელს ამერიკამ საქართველოში წვრთნის და აღჭურვის პროგრამა დაიწყო. შალიკაშვილი ამ წვრთნების კურატორი იყო.

სხვათა შორის, 2006 წლის სცენარი 2001 წელს იდგმებოდა პირველად. მაშინ კოდორში ჩეჩნები შემოიყვანეს და კინაღამ დიდ უბედურებაში ჩავვარდით.

მე მხოლოდ საკუთარი თვალით ნანახს და საკუთარ კისერზე გადავლილს ვეყრდნობი. ამის თანახმად შემიძლია გითხრათ, რომ კოდორის ჩაბარებას რუსეთმა, ამერიკამ, გაერომ, ეუთომ და თუკი რამე საერთაშორისო ორგანიზაციაა, ერთად შეუწყვეს ხელი.

***– ამბობთ, ოთარ შალიკაშვილმა პირდაპირ გვითხრა კოდორი ჩასაბარებელიაო. რატომ იყო ჩასაბარებელი, არ ჰკითხეთ?***

– როგორ არ ვკითხეთ და პასუხიც მივიღეთ. მან ასეთი რამე გვითხრა, ხეობა იმიტომ უნდა ჩააბაროთ, რომ ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებულიო.

***– რომელ ხელშეკრულებაზეა საუბარი?***

– ეგ ჩვენც ვიკითხეთ, მაგრამ არ გვიპასუხა.

***– რატომ არ გიპასუხათ?***

– გვითხრა, ეგ თქვენი საქმე არ არისო.

***– ის მაინც არ გაარკვიეთ, ვის მიერ იყო ეს ხელშეკრულება გაფორმებული?***

– ამბობდა, ეგ თქვენი საქმე არ არისო. მარტო ამ ამბიდანაც ჩანს, რომ საქართველოში პროამერიკული და პრორუსული არ არსებობს. რუსები და ამერიკელები საქართველოში არიან ერთნი და ერთ საქმეს ემსახურებიან. ერთმანეთში საათივით აქვთ ყველაფერი აწყობილი და საქართველოც გაყოფილი აქვთ. კიდევ ვიმეორებ, რუსეთი და ამერიკა ერთია.

***– თუ ეს მართლაც ასეა, თქვენი პარტიის წარმომადგენლები მოსკოვის პარალელურად ვაშინგტონში რატომ არ წავიდნენ. რაღა დუმაში გამართეს შეხვედრები?***

– ჩვენები ვაშინგტონში უკვე იყვნენ და კიდევაც წავლენ. რუსეთში წასვლა იოლი არ იყო. ამის გამო უამრავი ტალახი გვესროლეს.

***– ვაშინგტონში რომ წასულიყავით, ამდენ ტალახს არ გესროდნენ.***

– გვესროდნენ. ჩვენ იქ სხვებივით მონებივით არ ჩავიდოდით. რუსეთში წასვლა სწორი ნაბიჯი იყო. ამ ქვეყანას წართმეული ტერიტორიების სახით ჩვენი ვალი აქვს. მევალეს თუ არ დაელაპარაკები, ვალი როგორ უნდა მოსთხოვო.

იმ ხალხს, ვინც ჩვენ დიალოგის გამო გვლანძღავს, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება არ უნდა.

კიდევ ერთ ძველ ამბავს გავიხსენებ. თავის დროზე შევარდნაძემ თქვა საინტერესო რამე. მისი თქმით, საქართველო საერთაშორისო საზოგადოებებს გაყოფილი აქვთ. მან ბევრი რამე იცოდა და ამას შემთხვევით არ იტყოდა.

ყველაფერი მართლა აქეთკენ მიდის. ახლა აჭარაა ძალიან დიდი საშიშროების ქვეშ. ვილაცები ამტკიცებენ, რომ რუსეთი აჭარას არ დათმობს, მაგრამ დამიჯერეთ, დათმობს. ეს ბოლო ფრაზა შეიძლება დიდი ასოებით დაწეროთ. იქნება ასე მაინც შევიდეს ვილაცების თავში.

***– რას ჰქვია დათმობს, რუსეთისაა აჭარა?***

– არც აფხაზეთი და სამაჩაბლო იყო ამერიკის, მაგრამ რუსეთს დაუთმეს. ახლა ამის სანაცვლოდ რუსეთს აჭარის დათმობას მოსთხოვენ. არც ის დაგვავიწყდეს, რომ ყარსის ხელშეკრულება რუსეთსა და თურქეთს შორისაა გაფორმებული.

***– მოდით, ისევ ალიანსის აქციას და მოთხოვნებს დავუბრუნდეთ. კიდევ რა მოთხოვნები გექნებათ?***

– ბევრი მოთხოვნა გვექნება. ჩვენ ვართ ეროვნული ძალა და იმ მოთხოვნებს დავაყენებთ, რაც ჩვენი ერისთვის სასიცოცხლოა.

# დაჩი ცაგურია: „ირაკლი პეტრიაშვილის მიერ მოწყობილ პროვოკაციას ვუყურებთ“



– საქართველოს რკინიგზის წინააღმდეგ ვუყურებთ სააკაშვილის სიბინძურეში აღმოცენებული, არშემდგარი პოლიტიკოსის ირაკლი პეტრიაშვილის მიერ მოწყობილ პროვოკაციას, – ამის შესახებ საქართველოს რკინიგზის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა დაჩი ცაგურიამ რკინიგზის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე აქციასთან დაკავშირებით განაცხადა.

როგორც ცაგურიამ აღნიშნა, ადამიანების გარკვეული ჯგუფი წლებია ცდილობენ პროვოკაციების მოწყობას.

– ადამიანების ჯგუფი წლებია, მას შემდეგ, რაც სააკაშვილი აღარ არის ხელისუფლებაში, ცდილობს მუდმივად მოაწყოს პროვოკაციები. სააკაშვილის მმართველობის დროს არასოდეს გახსენებია მშრომელთა უფლებები. დღეს ასეთი გულადი გახდა. ეს ადამიანები არიან შეცდომაში შეყვანილები პეტრიაშვილის ჯგუფის მიერ, რომლებიც მუდმივად სიცრუეს ავრცელებენ. ეს ადამიანები არ არიან რკინიგზელთა ინტერესებზე ორიენტირებული, ისინი რკინიგზელთა ფულით აფინანსებდნენ ყოველთვიურად ირაკლი პეტრიაშვილის წინასაარჩევნო კამპანიას. ჩვენ ამას ვხედავდით, ირაკლი პეტრიაშვილმა ერთი პროცენტიც კი ვერ მოაგროვა, ის არის გაკოტრებული პოლიტიკოსი და შანსი არა აქვს და არც არასოდეს ექნება, – განაცხადა დაჩი ცაგურიამ.

მისივე თქმით, რკინიგზელები, რომლებიც აქციას მართავენ, შეცდომაში არიან შეყვანილები, შეუძლიათ სამსახურში გამოცხადდნენ და გააგრძელონ მუშაობა.

– ეს ადამიანები იგივე ხელფასით არიან გადაყვანილები ახალ სამუშაო ადგილზე. განცხადებები, თითქოს ამ ადამიანებს საცხოვრებლითა და ტრანსპორტით არ უზრუნველვყოფდით, ეს არის სიცრუე. მივმართავ თხოვნით, რომ რაც შეიძლება მალე გამოცხადდნენ, ვინაიდან საკმაოდ საპასუხისმგებლო საქმე აკისრიათ. მათ უნდა შეასრულონ ლიანდაგის შემოწმება, რადგან იქ ტვირთთან ერთად სამგზავრო მატარებელი დადის. ვთხოვ, რომ კარგად გააცნობიერონ პასუხისმგებლობა, დროულად გამოცხადდნენ სამსახურში, რადგან ჩვენ უკვე იძულებული ვიქნებით, რაღაც გადაწყვეტილება მივიღოთ. მოვუწოდებ, რომ ნუ აყვებიან პეტრიაშვილის პროვოკაციებს, რადგან პეტრიაშვილი თავის გრანტებს და რკინიგზელების ფულს ისევ წაიღებს, – განაცხადა ცაგურიამ

# ქუჩაში ნაგვის დაყრისთვის გამოწერილმა ჯარიმებმა 551.070 ლარი შეადგინა



2017 წლის განმავლობაში ქუჩაში ნაგვის დაყრისთვის ჯამში 1.594 პირია დაჯარიმებული. ამის შესახებ „ბიზნესპრესნიუსს“ შპს „თბილსერვის ჯგუფში“ განუცხადეს.

მათივე ცნობით, საანგარიშო პერიოდში ჯარიმების საერთო თანხამ 551.070 ლარი შეადგინა. რაც შეეხება საჯარიმო ოქმებს, სამსახურის ინფორმაციით, ყველაზე მეტი საჯარიმო ოქმი 2 კგ-მდე მუნიციპალური ნარჩენით, კერძოდ, სიგარეტის ნამწვით გარემოს დანაგვიანებაზე შედგა, რაც 80-ლარიან ჯარიმას ითვალისწინებს.

როგორც „თბილსერვისს ჯგუფში“ აღნიშნავენ, ქვეითმა ინსპექტორებმა, რომლებმაც მოქალაქეთა დაჯარიმება 20 აპრილიდან დაიწყეს, დღემდე 1.119 საჯარიმო ოქმი შეადგინეს. აქედან 1.026 დაჯარიმებული პირი უცხოელია.

ამასთან, სამსახურის ინფორმაციით, 20 აპრილიდან დღემდე ქვეითი ინსპექტორების მიერ გამოწერილი ჯარიმების საერთო თანხამ – 197 ათასი ლარი შეადგინა.

რაც შეეხება სამანქანო ეკიპაჟებს, რომლებიც ძირითადად ქუჩების სამშენებლო ნარჩენებით დანაგვიანებაზეა ორიენტირებული, „თბილსერვის ჯგუფში“ აცხადებენ, რომ ეკიპაჟების მიერ მიმდინარე წლის იანვრიდან დღემდე 475 ოქმია შედგენილი. აქედან, 164 კი იურიდიული პირი იყო. ამასთან, მათ მიერ გამოწერილმა ჯარიმებმა ჯამში 354.070 ლარი შეადგინა.

ნარჩენების მართვის კოდექსის შესაბამისად, 2 კგ-მდე მუნიციპალური ნარჩენით გარემოს დანაგვიანება ისჯება 80 ლარით, იგივე ქმედება ჩადენილი შენობა-ნაგებობიდან – 100 ლარით; 2 კგ-ზე მეტი მუნიციპალური ნარჩენით გარემოს დანაგვიანება – 150 ლარი, იგივე ქმედება ჩადენილი შენობა-ნაგებობიდან – 500 ლარი; ძაღლის ან სხვა შინაური ცხოველის მცირე ოდენობის ფეკალური მასით ტერიტორიის დაბინძურება – 50 ლარი (პასუხისმგებლობა არ დაეკისრება მეპატრონეს, თუ იგი დაუყონებლივ და სრულად მოასუფთავებს დაბინძურებულ ტერიტორიას); ხუთ ერთეულამდე საბურავით გარემოს დანაგვიანება (ველოსიპედის საბურავის გარდა) – 150 ლარი;

ხუთი ერთეული ან ხუთ ერთეულზე მეტი საბურავით გარემოს დანაგვიანება (ველოსიპედის საბურავის გარდა) – 500 ლარი; სახიფათო ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება ან სხვა ქმედება, ჩადენილი ნარჩენების შეგროვების კონტეინერის გარეთ: ფიზიკური პირი – 400 ლარი, იურიდიული პირი – 1.000 ლარი.

**ბიპიენი**

# რა ელის გალის მოსახლეობას

## ხაჯიმბა აფხაზეთის ომის მოხალისეებს მადლობას უხდის

მარიამ მჭედლიშვილი

**აფხაზეთის ომის დაწყების წლისთავს წინ უძღოდა გავრცელებული ინფორმაცია, რომლის თანახმად, 2018 წლის იანვრიდან აფხაზეთში მცხოვრებლებისთვის კანონიერად ჩაითვლება მხოლოდ აფხაზეთის პასპორტი ან ბინადრობის მოწმობა. დანარჩენი საბუთები ბათილად გამოცხადდება.**

„ახალი თაობა“ უკვე წერდა, რომ გალის რაიონის ქართველებს აიძულებენ ბინადრობის მოწმობების აღებას. აფხაზეთის ახალ პასპორტებს კი იმ საბაბით არ აძლევენ, რომ მათ საქართველოს მოქალაქის პასპორტები აქვთ.

ბოლო დროს სასამართლოში ხდება გალის რაიონის ყოფილი გამგებლის საქმის გადასინჯვა. მას ქართველებისათვის 2014 წლამდე პასპორტების დარიგებას ედავებიან. მაისში სასამართლომ იგი დამნაშავედ არ ცნო. პროკურატურის განაცხადის საფუძველზე მის საქმეს ხელახლა განიხილავენ.

საქართველოს შესაბამისმა უწყებებმა საერთაშორისო ორგანიზაციებს აცნობეს, რომ ქართველებს, აფხაზეთის ძირძველ მოსახლეობას, ოკუპირებულ რეგიონში ბევრნაირად ჩაგრავენ და ისე ექცევიან, როგორც უცხოელებს. მათ წართმეული აქვთ მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლებაც.

რუსეთის პროპაგანდა ამის საწინააღმდეგოდაც ამუშავდა. კრემლის მედიასაშუალებები აქვეყნებენ სტატიებს იმის შესახებ, თითქოს აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში მხოლოდ მეოცე საუკუნის ოციან წლებში შევიდა და ქართველების რაოდენობა იქ მაშინ გაიზარდა. „რაშა თუდეის“ მტკიცებით, საბჭოთა საქართველოს მმართველებმა აფხაზები აფხაზეთში ეროვნულ უმცირესობად აქციეს, 25 წლის წინ კი იქ ჯარი შეიყვანეს.

აფხაზეთის ომის 25-ე წლისთავი ოკუპირებულ აფხაზეთში ზეიმის გარეშე აღნიშნეს.

15 აგვისტოს, რომელიც აფხაზეთში მოხალისეების დღეა, ფაქტობრივმა პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამ ყვავილები მიიტანა აფხაზეთის ომში მონაწილეების საფლავებთან და აღნიშნა, რომ აფხაზეთის ომში ბევრი მოხალისე იბრძოდა ჩრდილოეთ კავკასიიდან, „სამხრეთ ოსეთიდან“ და დნესტრისპირეთიდან. მათ შორის იყვნენ აფხაზურ-ადიღეური დიასპორის წარმომადგენლები. 290 ჩამოსული მოხალისე დაიღუპა.



– თქვენი მხარდაჭერით მოვახერხეთ მტრის შეჩერება, ჩვენი აფსნისათვის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაბრუნება და სამართლიანობის აღდგენა, -მიმართა 25 წლის წინ ომში ქართველების წინააღმდეგ მებრძოლ მოხალისეებს ხაჯიმბამ.

ამ თარიღისადმი მიძღვნილ გამოკითხვაში აფხაზეთის მოსახლეობამ ისაუბრა მიღწევებზე, რომელიც აფხაზეთს 25-წლიან პერიოდში ჰქონდა.

უმრავლესობა მთავარ მიღწევად მიიჩნევს ომში გამარჯვებას და რუსეთის მხრიდან აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას.

გაზეთ „ჩეგემსკაია პრავდას“ რედაქტორი ინალ ხაშიგი დარწმუნებულია, რომ 25-წლიან პერიოდში აფხაზეთში დაინერგა დემოკრატია და სიტყვის თავისუფლება. ეს, მისი აზრით, მოხდა მიუხედავად იმისა, რომ ამას ხელს არ უწყობდა აფხაზეთში მოქმედი მმართველობის მოდელი.

ამ გამოკითხვაში ვერ აისახა აფხაზეთის საზოგადოების უმრავლესობის უკმაყოფილება, რომელიც ბოლო დროს სულ უფრო საგრძნობი გახდა.

ხალხის დიდი ნაწილი გრძნობს, რომ აფხაზეთი ოკუპირებულია და მისი დამოუკიდებლობა არაფერში ვლინდება. ოკუპირებულ აფხაზეთში კლანების დაუფარავი თარეშია, ყვავის კრიმინალი, ბევრი დანაშაული იმალება. მოსახლეობა ღატაკდება და, რუსეთის გარდა, ვერც ერთ ქვეყანაში ვერ მიდის.

ბოლო წლებში ბევრს საუბრობდნენ იმაზე, რომ აფხაზეთი იქცეოდა დასვენებისა და ტურიზმის განსაკუთრებულ ზონად. წლევანდელი საკურორტო სეზონი ფაქტობრივად ჩავარდა.

ამ სიტუაციაში აფხაზეთის მოსახლეობისათვის ბევრს არაფერს ნიშნავს რუსეთიდან საინვესტიციო პროგრამების ფარგლებში შემოსული ფული და პუტინის ჩასვლა. აფხაზეთში რუსეთს სულ უფრო კრიტიკულად უყურებენ.

თუმცა, აფხაზების დიდ ნაწილს არც ქართველ პოლიტიკოსებთან შეხვედრების სურვილი ემჩნევა. ამიტომ, თბილისიდან გაკეთებული განცხადებები სოხუმთან და ცხინვალთან დიალოგის შესახებ, თუ ასეთი რამ შესაძლებელია, შორეული პერსპექტივაა.

# ჯემალ გამახარია: „პუტინის სოხუმში ჩასვლამ აფხაზები დააშინა“

გულიკო ბალაძე

**აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ჯემალ გამახარია „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ აფხაზური საზოგადოება დაშინებულია და აგვისტოს ომების დაწყების თარიღებთან დაკავშირებით, რუსეთის პრეზიდენტის ვიზიტის შემდეგ, სერიოზული გამოხმაურება არ ყოფილა.**



– ერთადერთი შემთხვევა იყო, როდესაც ქალაქ სოხუმის დე-ფაქტო საკრებულოს წევრმა, ვინმე ფილიამ ქალაქის ერთ-ერთი ქუჩისთვის პუტინის სახელის მინიჭების წინადადება წამოაყენა. წინადადებას უარყოფითი რეაქცია მოჰყვა, სულ მალე სოციალურ ქსელებში სრულმა სიჩუმემ დაისადგურა. პუტინის ვიზიტის, მისი განცხადებების შეფასება არ ხდება, ყველა დუმს. ამ შემთხვევაში დუმილი მრავლისმთქმელია, იგი სულაც არ არის თანხმობის ნიშანი. პირიქით, აფხაზური საზოგადოება დაშინებულია და თავის პროტესტს ამ ფორმით გამოხატავს, – აცხადებს ჯემალ გამახარია.

***– ბატონო ჯემალ, აფხაზურ საზოგადოებაში არ აინტერესებთ, ომების დაწყების თარიღებთან დაკავშირებით პუტინი ჩავა აფხაზეთში თუ სხვა ვინმე?***

– პუტინის ვიზიტზე რაიმე სერიოზული გამოძახილი, მაგალითად, სოციალურ ქსელებში არ ყოფილა. ყველა დუმს. თუმცა, ეს დუმილი არა მგონია, თანხმობის ნიშანი იყოს.

***– აბა, ეშინიათ?***

– აფხაზური საზოგადოება დაშინებულია. პუტინის ვიზიტი აფხაზეთში კრემლის აგრესიული პოლიტიკის მორიგი ცინიკური და სამარცხვინო გამოვლინება იყო. პუტინი კაგებეშნიკია, სოხუმში ისეთ რალაცებზე ილაპარაკა, ისეთი ქვეტექსტებით, რომ აფხაზები დააშინა. მე მთლიანად ვეთანხმები საქართველოს უმაღლესი თანამდებობის პირების მკვეთრ და ობიექტურ შეფასებებს ამ ფაქტთან დაკავშირებით.

***– პუტინმა დასაშინებელი რა თქვა? მიკროფონებთან სტრატეგიული პარტნიორობა შესთავაზა. ისე რა უთხრა ხაჯინბას, ეს საზოგადოებას არ ეცოდინება.***

– პუტინის ვიზიტი უკავშირდებოდა რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ 2008 წელს გაჩაღებული ომის მეცხრე წლისთავს. ეს იყო ღიმილის მომგვრელი პასუხი საქართველოში აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტ მაიკლ პენსის ამასწინანდელ წარმატებულ ვიზიტზე. ბიჭვინთაში ჩამოსვლით რუსეთის პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ აბუჩად აიგდო საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლური ნორმები, მოახდინა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის დემონსტრირება.

***– პუტინის მხრიდან საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევა პირველად არ ხდება.***

– გასაგებია, მაგრამ პუტინმა თავისი „სტუმრობით“ კიდევ ერთხელ და უკვე მერამდენედ შეურაცხყო რუსეთის გადამწყვეტი მონაწილეობით, აფხაზეთში ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებული გენოციდის მსხვერპლთა ნათელი ხსოვნა.

***– საინტერესოა, პუტინის მიერ ბიჭვინთაში გახმოვანებული გზავნილები. პრინციპულ სიახლეს შეიცავდნენ?***

– პუტინის გზავნილებში პრინციპული სიახლე არ არის, თუმცა, ყურადღებას იმსახურებენ. პუტინის მიერ გაჟღერებული გზავნილები პოლიტიკური დატვირთვის მქონეა და ცალკეულ ქვეტექსტებს შეიცავს.

**„სოხუმის საკრებულოს წევრმა ფილიამ სოხუმის ქუჩისთვის პუტინის სახელის მინიჭება მოითხოვა, მაგრამ მხარი არავინ დაუჭირა“**

***– აფხაზებს უსაფრთხოებისა და „დამოუკიდებლობის“ გარანტიები ხომ მისცა?***

– რუსეთის პრეზიდენტის ხმამაღალი და რიხიანი განცხადება აფხაზეთის უსაფრთხოებისა და ვითომ დამოუკიდებლობის გარანტიების შესახებ, პირდაპირ მიუთითებს აფხაზეთის ე.წ. დამოუკიდებლობის ხარისხზე. სინამდვილეში ამგვარი განცხადება იმას ნიშნავს, რომ აფხაზეთის ტერიტორია მომავალშიც დარჩება ნატოს წინააღმდეგ მიმართულ სამხედრო ბაზად, რომ ეს ბაზა მომავალში კიდევ უფრო გაძლიერდება.

***– ანუ რუსეთი აფხაზების უსაფრთხოებისა და ე.წ. დამოუკიდებლობის გარანტი არ არის?***

– რუსეთის პოლიტიკა აფხაზების უსაფრთხოებას კი არა, მის იმპერიულ ზრახვებს ემსახურება. ამიტომ პუტინის განცხადება ნიშნავს არა იმდენად უსაფრთხოებისა და „დამოუკიდებლობის“, არამედ ანექსიონისტური პოლიტიკის გაგრძელების გარანტიას. ამაზე მეტყველებს დაუპატიჟებელი სტუმრის მიერ განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება რუსი ტურისტების უსაფრთხოების ერთობლივად უზრუნველყოფის აუცილებლობაზე და ამასთან დაკავშირებით რუსეთ-აფხაზეთის ყბადაღებული შსს ორგანოების საინფორმაციო-საკოორდინაციო ცენტრის მნიშვნელობაზე. ვფიქრობ, ყოველგვარი კომენტარები აქ ზედმეტია. იმედი მაქვს, აფხაზური საზოგადოების ჯანსაღი ნაწილი სათანადოდ შეაფასებს პუტინის განცხადების ამ ნაწილს.

***– ანექსიონისტური პოლიტიკის კონტექსტში უნდა იქნას განხილული პუტინის „ზრუნვა“ აფხაზეთის ეკონომიკაზე?***

– დიახ, საუბარი აფხაზეთის განვითარების „ოპტიმალური გზების“ ძიების აუცილებლობაზე, „საკუთარი საგადასახადო ბაზის“ გაფართოებაზე, ზედმეტია.



***– გამორიცხავთ, რომ რუსეთმა აფხაზეთის ეკონომიკის განვითარებაზე იზრუნოს?***

– აფხაზეთის ეკონომიკის განვითარების, ფაქტობრივად, ერთადერთ „ოპტიმალურ გზად“, კრემლს დიდი ხანია, აფხაზეთიდან დევნილთა და გენოციდის მსხვერპლთა უძრავი ქონების, მათ შორის, მიწებისა და სახლების რუსეთის მოქალაქეებისთვის მიყიდვა ესახება.

***– ანუ რუსეთის მიზანი აფხაზეთის სრული ანექსიაა?***

– დიახ. აფხაზეთის ანექსიის მიზნის მიღწევას ემსახურება ვიზიტის ფარგლებში ხელმოწერილი ე.წ. შეთანხმებაც „აფხაზეთში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეებისთვის სავალდებულო სამედიცინო დაზღვევისა და სამედიცინო დახმარების შესახებ“.

***– ასეთი პრივილეგია რას შეიძლება ისახავდეს მიზნად?***

– ამ „შეთანხმებამ“ უნდა წაახალისოს აფხაზეთის მოსახლეობის მიერ რუსეთის მოქალაქეობის მასობრივად მიღება, საქართველოსთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტა. აფხაზურმა საზოგადოებამ იცის, რომ მის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე რუსული „ზრუნვა“ უდიდეს საფრთხეს შეიცავს.

საქმე ისაა, რომ აფხაზებისთვის რუსეთის მოქალაქეობის მიღების გამარტივება დაიშვება ნაცვალგების საფუძველზე, ანუ იმავდროულად უნდა მოხდეს რუსების მიერ აფხაზეთის მოქალაქეობის მიღების გამარტივებაც.

***– რატომ ფიქრობთ ასე?***

– მოსკოვიდან გამოგზავნილი შესაბამისი „კანონპროექტი“ უკვე ხაჯინბას კანცელარიაშია და მალე განსახილველად ე.წ. სახალხო კრებას გადაეგზავნება. ამ შემთხვევაში კომენტარებისაგან თავს შევიკავებ, ისედაც ყველაფერი ნათელია.

***– დასავლეთის ქვეყნებმა რუსეთს უკვე მეორედ დაუწესეს სანქციები, მაგრამ ეს მასზე არ მოქმედებს. რუსეთი პოლიტიკას არ ცვლის.***

– რუსეთმა, ამ უზარმაზარმა ბირთვულმა სახელმწიფომ, თავისი აგრესიული პოლიტიკით საკუთარი თავი საერთაშორისო იზოლაციაში მოაქცია. მის მთავარ „მოკავშირეებად“ საქართველოს ოკუპირებული რეგიონები რჩებიან, რომლებიც სამხედრო ბაზებად არიან გადაქცეული. სწორედ ამ რეგიონებიდან ცდილობს კრემლი თითი დაუქნიოს დასავლეთს, ნატოს და მის მოკავშირეებს.

***– შექმნილ ვითარებაში როგორ უნდა ვიმოქმედოთ?***

– შექმნილ ვითარებაში აუცილებელია დეოკუპაციის სახელმწიფო პოლიტიკის კიდევ უფრო გააქტიურება. ამ მიზნით არა მხოლოდ დიპლომატიური, არამედ სამართლებრივი ბერკეტების ამოქმედება, აფხაზეთში რუსეთის გადამწყვეტი მონაწილეობით განხორციელებული გენოციდის თემის წინ წამოწევა და ოკუპანტისთვის მტკივნეული სხვა ზომების მიღებაა საჭირო.

# მიხეილ დონდუა: „საქართველოს ყველაზე დიდი ჩავარდნა ინფრასტრუქტურის მიმართულებით აქვს“

ნონა ცაბაძე

ქვეყანაში განვითარებულ ეკონომიკურ პროცესებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში მიხეილ დონდუა აფასებს.

***– ბატონო მიხეილ, ზაფხულის მიწურულია, გაგანია ტურისტული სეზონი. გაკეთდა შეფასებები, რომ მოლოდინი გაცილებით დიდი იყო, მაგრამ ბევრმა პროექტმა არ გაამართლა. საუბარია ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელის გადაყენებაზეც. რა მდგომარეობაშია დღეს ქართული ეკონომიკა?***

– ტურიზმთან დაკავშირებით, ბოლო წლების განმავლობაში განსაკუთრებულად აღმავალი სიტუაციაა, როგორც შემოსავლების მობილიზების, ისე ტურისტების რაოდენობის ზრდის თვალსაზრისით. ცალკეული ღონისძიებები თუ ჩავარდა, ეს საერთო სურათს არ ცვლის. უამრავი ღონისძიება ჩატარდა, იგივე შავი ზღვის არენაზე, ბევრი სიახლეა საქართველოში, რის ფონზეც ტურისტთა რაოდენობა მატულობს, ასევე მატულობს შემოსავლები ტურიზმიდან.

***– რა რაოდენობის თანხებზეა საუბარი?***

– გასულ წელს ორ მილიარდზე მაღალი იყო და წელსაც არის ტენდენცია, რომ ზრდა გაგრძელდეს.

***– ეს პროცესი რამდენად აისახება ჩვენი მოსახლეობის კეთილდღეობაზე?***

– მოსახლეობის კეთილდღეობაზე აისახება ეს პროცესი. იმისათვის, რომ კეთილდღეობას



მივაღწიოთ, მხოლოდ ტურიზმიდან შემოსული თანხები არ არის საკმარისი, თუმცა ტურიზმიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

***– ლარის კურსზე და ეროვნული ბანკის პოლიტიკაზე რას იტყოდით? რამდენად შენარჩუნდება ის ტენდენცია, რომელიც ამჟამად არის?***

– კურსი დასტაბილურდა გარკვეულ დიაპაზონში, რომელიც 2,40-ს ჩამოსცდა. გარდა ამისა, უკვე დაიწყო ეროვნულმა ბანკმა სავალუტო ფონდის რეკომენდაციების შესრულება, რაც გულისხმობს ბიზნესსესხების წახალისებას, ხოლო საშუალო სესხების შემთხვევაში, გარკვეული ლიმიტების დაწესებას, რომ მოსახლეობას ვალი არ დააწვეს მძიმე ტვირთად.

***– კონკრეტულად რა იგულისხმება?***

– მომსახურების გრაფიკი უნდა იყოს მოქალაქის შემოსავლის ადეკვატური. სწორედ ამ ნაბიჯების გადადგმას იწყებს ეროვნული ბანკი, დღეს ამის დაწყების პროცესშია. ეს პროცესი ეროვნულ ბანკს უნდა დაეწყო 2013-14 წლიდან, მაგრამ მაშინდელი მმართველობის პირობებში ეს არ ხორციელდებოდა. ახლანდელი მმართველობის პირობებში დაგვიანებით, მაგრამ მაინც დაიწყო სავალუტო ფონდის რეკომენდაციების შესრულება, რაც გულისხმობს იმას, რომ თანდათანობით, სესხის გაცემის დროს, სესხის მომსახურების გრაფიკი გახდება ისეთი, რომ მოქალაქე გაწვდეს ყოველთვიურად მის მომსახურებას და მისი შემოსავლის უმეტესი ნაწილი არ მოხმარდეს სესხის დაფარვას. დღეს ამ კუთხით ვითარება ძალიან რთულია, მაგრამ, იმედი მაქვს, რომ ეს გამოსწორდება.

***– ბატონო მიხეილ, საგარეო ვალების გადახდის დრო მოახლოვდა და ეს პროცესი სერიოზულად დაარტყამს და დააზიანებს ლარს?***

– საქართველომ 2013 წლიდან დაიწყო საგარეო ვალის გააქტიურება, მისი დაფარვა. ბუნებრივია, ამან უარყოფითად იმოქმედა ლარის კურსზე, რადგან დოლარის დიდი რაოდენობა გავიდა ვალის მომსახურების სახით ქვეყნიდან, მაგრამ ის შეთანხმებები, რომლებიც საქართველოში ინვესტიციების დაბანდებას და სესხების მოზიდვას ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის ითვალისწინებს, გადაფარავს ამ ეფექტს

***– და ვალუტის კურსს საფრთხეს არ შეუქმნის?***

– უნდა დაველოდოთ მოვლენების განვითარებას, ინვესტიციებს, რა საკრედიტო რესურსების მობილიზებას შეძლებენ სახელმწიფო და კერძო სექტორი ამ თვეების განმავლობაში და სექტემბრის ბოლოსთვის უფრო ნათელი სურათი გვექნება იმის გასაანალიზებლად, ლარის კურსთან დაკავშირებით როგორ იმოქმედებს ეს ფაქტორები და საერთოდ ეკონომიკის განვითარებისათვის რა იქნება სასიკეთო.

***– პრემიერი აანონსებს, რომ 2018 წელი ინფრასტრუქტურული პროექტების წელი იქნება. რა პერსპექტივებს ხედავთ ამ კუთხით?***

– ძალიან კარგი ტენდენციაა. ეს საარჩევნო პროგრამის განუყოფელი ნაწილია. კარგად ჩანს, რომ ქვეყანას აქვს აქცენტი გაკეთებული ინფრასტრუქტურაზე. გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშის მიხედვით, რომელსაც დავოსის ფორუმი აწარმოებს, სადაც საქართველო მკვეთრად დაწინაურდა კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით, ყველაზე დიდი ჩავარდნა საქართველოს აქვს ინფრასტრუქტურის მიმართულებით.

***– ამიტომ კეთდება აქცენტი ამ კუთხით?***

– ეს სწორი პოლიტიკაა. სწორედ ამიტომაც, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, მისი მკვეთრი გაჯანსაღება, ინვესტიციების მოზიდვა ამ თვალსაზრისით და საკრედიტო რესურსების მობილიზება წაადგება ყველა სფეროს!

***– ფიქრობთ, რომ შედეგი დადებითი იქნება?***

– რა თქმა უნდა! თუკი განხორციელდა ჩანაფიქრი, შედეგი აუცილებლად იქნება დადებითი.

# საქართველო მსოფლიო ბანკისგან 44,6 მლნ ევროს სესხს მიიღებს

საქართველოს მთავრობამ და მსოფლიო ბანკმა გააფორმეს საკრედიტო ხელშეკრულება რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) 44.6 მლნ. ევროს მოცულობის სესხის გამოყოფასთან დაკავშირებით. სესხი განვითარების პოლიტიკის მეორე პროგრამული ღონისძიებისთვის კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად დაიხარჯება.



ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს საქართველოს პირველმა ვიცე-პრემიერმა, ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა და სამხრეთ კავკასიაში მსოფლიო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა მერსი თემბონმა.

– მოხარული ვარ, რომ მსოფლიო ბანკი ასე აქტიურად განაგრძობს ჩვენი ქვეყნის კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისა და ბიზნეს გარემოს მხარდაჭერას, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის ზრდასა და სტაბილურ განვითარებას, ცხოვრების დონის გაუმჯობესებას და ეკონომიკის სხვადასხვა სექტორების წახალისებას, – განაცხადა საქართველოს პირველმა ვიცე-პრემიერმა, ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

– აღნიშნული ღონისძიებით მხარდაჭერილი რეფორმების პაკეტი მკაფიოდ მიუთითებს მთავრობის განზრახვაზე, დანერგოს პოლიტიკის ჩარჩო, რომელიც ხელს შეუწყობს ბიზნესის განვითარებას და ეკონომიკურ ზრდას მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნების პარალელურად, – აღნიშნა სამხრეთ კავკასიაში მსოფლიო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა მერსი თემბონმა.

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, ეკონომიკური განვითარების ამ მომდევნო ფაზისთვის მთავრობა ფოკუსირებულია კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის გაძლიერებაზე, რაც, მათი თქმით, შეამცირებს ეკონომიკის დამოკიდებულებას სახელმწიფო ინვესტიციებზე.

– რეფორმები გაამყარებს პროდუქტულობის გრძელვადიან ზრდას და ხელს შეუწყობს სარგებლის მიღებას ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის (DCFTA) და ასოცირების ხელშეკრულებებიდან (AA).

მთავრობის მიერ შემუშავებული რეფორმების პროგრამა შესაბამისობაშია მის ოთხპუნქტიან გეგმასთან და გათვალისწინებულია ქვეყანასთან მსოფლიო ბანკის 2014 – 2017 წლების პარტნიორობის სტრატეგიაში. განვითარების პოლიტიკის დღეს დამტკიცებული ღონისძიება ეფუძნება განვითარების პოლიტიკის წინა ღონისძიებებს, რომლებიც განხორციელდა განვითარების პოლიტიკის პირველი ღონისძიების ფარგლებში.

მიმდინარე ღონისძიება უფრო მეტად იქნება ფოკუსირებული რეფორმებზე კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიმართულებით და გააძლიერებს მის გავლენას სიღარიბის დაძლევაზე და საერთო კეთილდღეობის მიღწევაზე. ის არის მსოფლიო ბანკის მიერ მხარდაჭერილი უფრო ფართო რეფორმების პაკეტის ნაწილი, რომელიც ასევე მოიცავს 2017 წლის აპრილში დამტკიცებული განვითარების პოლიტიკის მეორე ღონისძიებას ინკლუზიური ზრდის შესახებ და ფოკუსირებულია სახელმწიფო დაწესებულებების ფისკალური ზედამხედველობის გაძლიერებაზე და ჯანდაცვის და განათლების სექტორების დაფარვის და ხარისხის გაუმჯობესებაზე.

მსოფლიო ბანკის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭომ აღნიშნული პროექტი 2017 წლის 31 ივლისს დაამტკიცა. განვითარების პოლიტიკის ეს ღონისძიება რიგით მეორე და იმავდროულად დასკვნითი პროგრამაა უფრო მეტად ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მისაღწევად კერძო სექტორის პროდუქტიულობის ამაღლების ხელშემწყობი პოლიტიკის, გრძელვადიანი დანაზოგების და ინვესტიციების სტიმულირების, ფინანსური და სოციალური დაცვის სისტემის გაძლიერების და სამართლიანი ბიზნესგარემოს შექმნის საშუალებით, რაც შესაძლებელს გახდის მცირე და საშუალო ბიზნესის და ახალი ფირმების განვითარებას, – ნათქვამია ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციაში.

## შაჰ-დენიზის საბადოდან საქართველოს გაზი არ მიეწოდება

ნავთობისა და გაზის კორპორაციის ინფორმაციით, პროფილაქტიკური და საპროექტო სამუშაოების გამო, „შაჰ-დენიზის“ საბადოდან გაზის მოპოვება შეწყდა. ამის გამო, საქართველოს სამხრეთკავკასიური მილსადენით ბუნებრივი აირი აღარ მიეწოდება. გაზის მიწოდებას აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია (SOCAR) მაგისტრალური, ე.წ. ყაზახის მილსადენით ახორციელებს.



– სამუშაოები სამხრეთკავკასიურ გაზსადენზე დაგეგმილია და მიმდინარეობს წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით 2017 წლის 13 აგვისტოდან 10 სექტემბრის ჩათვლით. საქართველოში გაზის მოწოდება დღეისთვის შეუფერხებლად გრძელდება. არსებული პრაქტიკის შესაბამისად, ამგვარ გეგმურ სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით შესაბამისი შეტყობინება და აზერბაიჯანული გაზის მიწოდების გრაფიკი ქართულ მხარესთან თანხმდება 1 წლით ადრე ყოველი მომდევნო წლისთვის, – ნათქვამია ნავთობისა და გაზის კორპორაციის განცხადებაში.

შაჰ-დენიზის საბადოზე პროფილაქტიკური და სარემონტო სამუშაო ყოველ წელს ხორციელდება.

# კომერციული ბანკების შესახებ დებულებაში ცვლილებები შევიდა

კომერციული ბანკების შესახებ დებულებაში ცვლილებები შევიდა. საუბარია კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულებაში ცვლილებაზე. ეროვნული ბანკი განსაზღვრავს, რომ ცვლილება ხელს შეუწყობს მიკრო, მცირე და საშუალო სეგმენტის დაფინანსების ხელმისაწვდომობას.




საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 15 აგვისტოს №120/04 ბრძანებით, ცვლილებები შევიდა ბაზელ III-ის ჩარჩოზე დაფუძნებული კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულებაში. ასევე, განახლებული სახით დამტკიცდა კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესი.

ბაზელ III-ის ჩარჩოზე დაფუძნებული კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების დებულების ძირითადი ცვლილება უკავშირდება საცალო მოთხოვნების კლასში ურთიერთდაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფის რისკის პოზიციის თანხის ლიმიტის 350.000 ლარიდან 2 მილიონ ლარამდე ზრდას.

– აღნიშნული ლიმიტის ზრდა კომერციულ ბანკებს საშუალებას მისცემს მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესისათვის გაცემული სესხები ჩაირთონ საცალო მოთხოვნების კლასში, რაც აღნიშნულ სესხებზე დაკრედიტების საზედამხედველო ტვირთის შემსუბუქებას ნიშნავს. შესაბამისად, მოცემული ცვლილება ხელს შეუწყობს მიკრო, მცირე და საშუალო სეგმენტის დაფინანსების ხელმისაწვდომობას. კაპიტალის ადეკვატურობის დებულებაში შეტანილი ცვლილებები ასევე მოიცავს ფიზიკური პირის მიერ დაფინანსებული ინსტრუმენტების საზედამხედველო კაპიტალში ჩართვის მინიმალურ მოთხოვნებს. კერძოდ, ცვლილებების თანახმად, არსებული მინიმალური მოთხოვნა 250.000 ლარიდან 1 მლნ ლარამდე გაიზარდა. აღნიშნული ცვლილება მომხმარებელთა და ინვესტორთა ინტერესების მაქსიმალურ დაცვას ისახავს მიზნად, – ნათქვამია ეროვნული ბანკის განცხადებაში.

ამასთან, განახლებული კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესში ფიზიკურ პირებზე გაცემული და სტანდარტულად კლასიფიცირებული სესხებისათვის, განისაზღვრა სესხის მომსახურებისა (ე.წ. PTI _ payment to income ratio) და სესხის უზრუნველყოფის (LTV _ Loan to value ratio) კოეფიციენტების მინიმალური მოთხოვნები.

ეროვნული ბანკის ინფორმაციით, ფიზიკური პირების თითოეული სესხისათვის სესხის მომსახურების კოეფიციენტის და სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტის მინიმალური მოთხოვნები გავრცელდება კომერციული ბანკების მიერ 2017 წლის 30 ნოემბრიდან გაცემულ სესხებზე. განახლებული წესით განსაზღვრული ლიმიტების დარღვევის შემთხვევაში, მკვეთრად იზრდება საზედამხედველო ტვირთი კომერციული ბანკებისთვის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების კუთხით.

– აღნიშნული ხელს შეუწყობს საკრედიტო სტანდარტების გაუმჯობესებას საბანკო სექტორში, შეამცირებს შემოსავლის დადასტურების გარეშე საცალო სესხების გაცემის მოტივაციას და, შესაბამისად, გააუმჯობესებს კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელების ხარისხს და კიდევ უფრო მეტად წაახალისებს სოციალური პასუხისმგებლობის მქონე საკრედიტო ურთიერთობებს.

აღსანიშნავია, რომ მოცემულ ცვლილებებსა და საკრედიტო სტანდარტების დანერგვაზე საქართველოს ეროვნული ბანკი 2014 წლიდან აქტიურად მუშაობდა და მჭიდროდ თანამშრომლობდა კომერციულ ბანკებთან. ცვლილებების შედეგად განახლებული მოთხოვნები სრულად შეესაბამება რისკზე დაფუძნებულ ზედამხედველობის პრინციპებს. მნიშვნელოვანია, რომ მათ დანერგვას ასევე მხარს უჭერს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია საქართველოში, – ნათქვამია ეროვნული ბანკის განცხადებაში.

## ისანში ურთიერთშელაპარაკების შედეგად მამაკაცი გარდაიცვალა




თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, ისნის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე ურთიერთშელაპარაკების შედეგად მამაკაცი გარდაიცვალა.

როგორც „ნიუპოსტისთვის“ გახდა ცნობილი, ორ პირს შორის არსებული უთანხმოებისას, ერთმა პირმა მეორეს ხელი დაარტყა, შედეგად მამაკაცი წაიქცა და გარდაიცვალა.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში განუცხადეს, საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

როგორც „ნიუპოსტს“ უწყებაში განუცხადეს, ინციდენტში მონაწილე ერთი პირი დაკავებულია.

## ლილოსთან სპეცოპერაციის დროს დაკავებული საავადმყოფოშია გადაყვანილი

გუშინ, 16 აგვისტოს, სოფელ წინუბანთან სპეცოპერაციის დროს დაკავებული საავადმყოფოშია გადაყვანილი. ინფორმაცია „პირველს“ შსს-ში დაუდასტურეს. უწყების ცნობით, დაკავებულმა გაქცევა სცადა და ამ დროს ფეხი დაიზიანა.

– გავრცელებული ინფორმაცია იმის თაობაზე, თითქოს ლილოში დაკავებული ძებნილი პირი დაჭრილია, სიმართლეს არ შეესაბამება.



მან გაქცევის მცდელობისას ფეხი დაიზიანა და სამართალდამცველებმა საავადმყოფოში გადაიყვანეს, – ამის შესახებ ინფორმაციას შსს ავრცელებს.

ლილოსთან ახლოს, სოფელ წინუბანში სპეცოპერაციის შედეგად ძებნილი პირი დააკავეს. დაკავებულს, სავარაუდოდ, იარაღიც ჰქონდა. ამის შესახებ „პირველს“ შს სამინისტროში უთხრეს.

გუშინვე სპეცოპერაცია ჩატარდა ფონიჭალაში, სადაც კიდევ ერთი ნარკორეალიზატორი დააპატიმრეს.

ბოლო რამდენიმე დღეში თბილისსა და რუსთავში, სპეცოპერაციების შედეგად, 6 ნარკორეალიზატორი დააკავეს.

## ლიახვის პირზე 47 წლის მამაკაცის ცხედარი იპოვეს

გორის მუნიციპალიტეტში, სოფელ ძევერასთან, მდინარე ლიახვის პირზე 47 წლის მამაკაცის ცხედარი იპოვეს. „ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, ხ.ჯ.-ს ოჯახი სამი დღის განმავლობაში ეძებდა. ძევერაში ამბობენ, რომ მამა-




კაცს ძალადობის კვალი არ აღენიშნება, თუმცა სოფელში არ იციან, რა გახდა შუახნის კაცის გარდაცვალების მიზეზი.

ადგილობრივების თქმით, მას ფსიქიკური პრობლემები ჰქონდა.

მომხდართან დაკავშირებით შსს-მ გამოძიება 117-ე მუხლის მეორე ნაწილით დაიწყო, რაც ჯანმრთელობის განზრახ დაზიანებას გულისხმობს, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

## ინსცენირებული ავტოავარიები ანაზღაურების მიზნით

### შსს-მ სადაზღვევო თაღლითობის უპრეცედენტო ფაქტი გახსნა



შინაგან საქმეთა სამინისტრომ ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის მიერ სადაზღვევო კომპანიების მიმართ ჩადენილი თაღლითობის უპრეცედენტო ფაქტი გახსნა.

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, თაღლითური დაჯგუფების წევრები – 1978 წელს დაბადებული შ.თ., 1989 წელს დაბადებული ი.წ. და 1984 წელს დაბადებული გ.ს. ამხილეს, ხოლო 1980 წელს დაბადებული ი.ტ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულები 2015 წლის 5 დეკემბრიდან 2016 წლის 17 ნოემბრამდე პერიოდში, წინასწარ შემუშავებული დანაშაულებრივი სქემის მიხედვით, საკუთარ სახელზე გაფორმებულ, სხვადასხვა მარკის ავტომანქანებს სადაზღვევო კომპანიებში აზღვევდნენ. შემდეგ, ამავე დაზღვეული ავტომანქანების გამოყენებით, ინსცენირებულ ავტოსაგზაო შემთხვევებს – განზრახ შეჯახებებს ახდენდნენ. ბრალდებულები მომხდარი ავტოავარიების შესახებ სადაზღვევო კომპანიებს ატყობინებდნენ და ზარალის ანაზღაურებას ითხოვდნენ. სადაზღვევო კომპანიები კი ზარალის ასანაზღაურებელ თანხას დამზღვევი პირების ანგარიშზე რიცხავდნენ. დანაშაულებრივმა ჯგუფმა, ჩადენილი თაღლითური ქმედებების შედეგად, სადაზღვევო კომპანიებს, დაახლოებით, 33, 000 ლარის ოდენობის ფინანსური ზარალი მიაყენა.

გამოძიება მიმდინარეობს ი.ტ.-ს მიმართ საქართველოს სსკ-ს 19-180-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების „ბ“ ქვეპუნქტებით, ასევე, 180-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების „ბ“ ქვეპუნქტებით, ი.წ.-ს მიმართ – საქართველოს სსკ-ს 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, შ.თ.-ს მიმართ – საქართველოს სსკ-ს 19-180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ხოლო გ.ს.-ს მიმართ – საქართველოს სსკ-ს 19-180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

## ბექა წიქარიშვილის სასამართლო პროცესი 30 აგვისტომდე გადაიდო



ბექა წიქარიშვილის სასამართლო პროცესი, რომელზეც საბოლოო გადაწყვეტილება უნდა გამოცხადებულიყო, 30 აგვისტომდე გადაიდო.

იმ ბრალდებაზე, რომელიც „თეთრი ხმაურის მოძრაობის“ წევრს აქვს წაყენებული, პატიმრობა აღარ გამოიყენება, თუმცა ქმედება კვლავაც რჩება სისხლის სამართლის დანაშაულად და სანქციად ჯარიმას, ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას, ვადით 160-დან 220 სთ-მდე ითვალისწინებს.

ადვოკატის თქმით, სამართლიანი გადაწყვეტილება იქნება, თუ სასამართლო არც მთლიანად გამამართლებელ განაჩენს გამოიტანს.

ბექა წიქარიშვილის თქმით, ის, რომ აღნიშნულ საქმეზე პატიმრობა აღარ გამოიყენება, საპროტესტო მოძრაობის პირველი ტალღის დამსახურებაა, შემდეგი ტალღა კი დეკრიმინალიზაციის პროექტის პარლამენტში განხილვა იქნება.

– მსგავსი საფრთხეების წინაშე დღეს კიდევ დგას უამრავი ადამიანი, დღეს ჯერ კიდევ ნარკოპოლიტიკა არის ის მძიმე წერტილი, რომელიც აწევს საზოგადოებას და ქვეყანას. ჩემთვის დღეს მთავრდება საპროტესტო მოძრაობის პირველი ტალღა და მეორე ტალღა იქნება სექტემბერში დეკრიმინალიზაციის პროექტის განხილვისას, – განაცხადა ბექა წიქარიშვილმა.

**ნიუპოსტი**

## გაუპატიურების შესაძლო მცდელობა და გამომძიებლის მიერ უფლებამოსილების გადამეტება

### პროკურატურა საქმეს იძიებს



პროკურატურა 19 წლის გოგონას მიმართ განხორციელებული შესაძლო სექსუალური ძალადობის საქმეს ორი მუხლით იძიებს.

საუბარია ორ მიმართულებაზე, გამოძიებამ უნდა დაადგინოს, ჰქონდა თუ არა ადგილი გაუპატიურების მცდელობას და გადაამეტა თუ არა სამართალდამცავმა უფლებამოსილებას.

კერძოდ, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მომხდარზე ოქმის შედგენისას, გაუპატიურების შესაძლო მცდელობაზე გამომძიებელმა 19 წლის გოგონას პირველად დაკითხვის შემდეგ ოქმში ინფორმაცია არ შეიტანა.

გუშინ, 16 აგვისტოს, ახალგაზრდა გოგომ, რომელზეც, სავარაუდოდ, სექსუალურად და ფიზიკურად იძალადეს, რამდენიმესაათიანი დაკითხვის შემდეგ, თბილისის პოლიციის სამმართველო დატოვა.

## „ჯერ გავიგონეთ ყვირილი, შემდეგ კი იყო გასროლა“




მთაწმინდაზე, ჭონქაძის №22-ში, მომხდარი მკვლელობის დეტალები

გუშინ, 16 აგვისტოს, მთაწმინდაზე, ჭონქაძის №22-ში, მკვლელობა მოხდა.

მკვლელობა მოხდა მჭიდროდ დასახლებულ ადგილზე, სადაც ასევე არის მთაწმინდის პარკში ასასვლელი მატარებელი. მიმდებარე ტერიტორიაზე რამდენიმე ადგილზე განთავსებულია ვიდეოსათვალთვალო კამერები, თუმცა, არის თუ არა დაფიქსირებული მომხდარი ფაქტი, ჯერჯერობით უცნობია.

როგორც თვითმხილველები „ინტერპრესნიუსთან“ პირად საუბრებში აცხადებენ, მათ გაიგეს ყვირილი, შემდეგ კი იყო გასროლა. თვითმხილველთა განცხადებით, შეამჩნიეს ახალგაზრდა მამაკაცი, თუმცა, სხვა დეტალებზე ჯერჯერობით ვერ საუბრობენ.

პირველი არხის ჟურნალისტის ინფორმაციით, ფეხით მიმავალ მამაკაცს მოტოციკლზე მჯდომმა პირმა ესროლა და ადგილიდან მიიმალა.

საქმესთან დაკავშირებით დაწყებულია გამოძიება განზრახ მკვლელობისა და იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის მუხლით.

## შავშვებთან ტრაილერი ტრაქტორს დაეჯახა



თბილისი-გორის ჩქაროსნული მაგისტრალზე, სოფელ შავშვებთან ერთმანეთს ტრაილერი და ტრაქტორი შეეჯახა. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

შეჯახების შედეგად ტრაქტორი გზის სავალი ნაწილიდან გადავარდა, ტრაილერი კი ამოტრიალდა.

შს სამინისტროში „პირველს“ უთხრეს, რომ ფაქტზე ჯარიმა ადმინისტრაციული წესით გაფორმდა.

## მებაჟეებმა 4.600 ღერი არადეკლარირებული სიგარეტი აღმოაჩინეს



ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა საბაჟო გამშვებ პუნქტზე „სადახლო-საავტომობილოში“ 4600 ღერი არადეკლარირებული სიგარეტი აღმოაჩინეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს, საქონელი სომხეთის მოქალაქის, კ.ვ-ის კუთვნილ ბარგში აღმოაჩინეს. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289 მუხლის მე-14 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევ პირს არადეკლარირებული საქონელი ჩამოერთვა და შეეფარდა ფულადი ჯარიმა ათასი ლარის ოდენობით.

## სადახლოზე არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები აღმოაჩინეს



სადახლოზე არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები აღმოაჩინეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს, 16 აგვისტოს, საბაჟო გამშვებ პუნქტში „სადახლო-საავტომობილო“ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, საქართველოში შემომავალი რუსეთის მოქალაქის, ა.ა-ს კუთვნილი ავტომანქანის დათვალიერებისას, არადეკლარირებული ოქროს (საერთო წონა 54.48 გრამი) ნაკეთობები აღმოაჩინეს. საქონლის საბაჟო ღირებულებამ 3,227.51 ლარი შეადგინა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, მოქალაქეს, სანქციის სახით, შეეფარდა ფულადი ჯარიმა 3,227.51 ლარის ოდენობით.

## ფონიჭალაში დაკავებული ფაილ ჰუსეინოვი – „ნარკოტიკები ჩამიდეს“

გუშინ, 16 აგვისტოს, ფონიჭალაში დაკავებული ფაილ ჰუსეინოვი სამართალდამცველებმა სახლიდან დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაიყვანეს.

დაკავებული სახლიდან შეძახილებით: „ნარკოტიკები ჩამიდეს“ გამოიყვანეს.

პოლიციის მხრიდან ნარკოტიკის ჩადებაზე საუბრობს ფაილ ჰუსეინოვის მეუღლეც, რო-



მელიც ჩხრეკისას სახლში იმყოფებოდა.

ჰუსეინოვის მეუღლის ინფორმაციით, მან დაინახა, როგორ ჩაუდეს მის მეუღლეს ნარკოტიკი. მისივე თქმით, პოლიციამ სახლში ყოფნისას ყველაფერი გაჩხრიკა და როდესაც ვერაფერი იპოვეს, მერე ჩაუდეს ნარკოტიკი.

ფაილ ჰუსეინოვის ძმის ინფორმაციით, პოლიციამ სამი თვის წინ მათი დედაც დააკავა.

როგორც მან აღნიშნა, „პოლიციამ დედასაც ნარკოტიკული საშუალება ჩაუდო“, რის გამოც ის დღემდე დაკავებულია.

მისივე თქმით, ძმასთან ერთად რკინის კარის დამზადებაზე მუშაობს და მათ არავითარი დანაშაული არ ჩაუდენიათ.

# ტილერსონი: „აშშ ფხენიანთან დიალოგისთვის მზადაა“



აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა რექს ტილერსონმა დადებითად შეაფასა ჩინეთის უკანასკნელი ნაბიჯი, რომელიც გულისხმობს ჩრდილოეთ კორეაზე ეკონომიკური ზეწოლის გაძლიერებას.

ტილერსონი მიიჩნევს, რომ შეიქმნა ვითარება, როცა შესაძლოა ყველაფერი მოლაპარაკებების შედეგად გადაწყდეს.

– ჩვენ დიალოგისთვის მზადა ვართ! ახლა ყველაფერი კიმ ჩენ ინზეა დამოკიდებული! – თქვა ტილერსონმა.

# ვენესუელის პრეზიდენტმა სამხედრო სწავლებების დაწყება ბრძანა



აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი მაიკ პენსი არგენტინაში ჩავიდა. ბუენოს-აირესში გამართულ პრესკონფერენციაზე მან განაცხადა, რომ კრიზისი ვენესუელაში მშვიდობიანად უნდა მოგვარდეს.

– ჩვენი დიპლომატები საამისოდ გულდასმით იღწვიან, – თქვა პენსმა.

ვენესუელის პრეზიდენტმა მადურომ კი სამხედრო სწავლებების დაწყება ბრძანა. თავის ტელემიმართვაში მან განაცხადა, რომ ამერიკული არმია ვენესუელაში შეჭრისთვის მზადაა.

– ვერც ერთი იანკი ვენესუელის წმინდა მიწაზე ვერ შემოვა! – განაცხადა მადურომ.

ვენესუელაში კი დაპირისპირება გრძელდება. მხოლოდ უკანასკნელი ორი თვის მანძილზე შეტაკებებისას 120 ადამიანი დაიღუპა.

# ანდრეი ილარიონოვი: „პუტინი აშშ-სთან აშკარა კონფრონტაციაზე არ წავა“



რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის ყოფილმა მრჩეველმა ანდრეი ილარიონოვმა განაცხადა, რომ დღეს რუსეთი ყველა პარამეტრით ამერიკაზე სუსტია. ეკონომიკურ პრობლემებს ერთვის რუსეთში არსებული კორუფცია და ცხელი წერტილები (ჩრდილოეთ კავკასია). ამას გარდა, რუსეთი გაჭედილია უკრაინასა და სირიაში. მილიარდები მიდის ისეთ საეჭვო წარმონაქმნების შენახვაზე, როგორებიცაა აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი, დნესტრისპირეთი, დონეცკ-ლუგანსკის რესპუბლიკები, მთიანი ყარაბაღი. რუსეთი აფინანსებს ბელორუსის არაეფექტურ ეკონომიკას, ყირგიზეთს და ა.შ.

– ეს რუსეთის ეკონომიკას უმძიმეს ტვირთად აწვება, – თქვა ილარიონოვმა.

პუტინის ყოფილმა მრჩეველმა აღნიშნა, რომ რუსეთის პრეზიდენტი ამაზე ამომწურავადაა ინფორმირებული. პუტინი, როგორც პრაგმატული პოლიტიკოსი, აშშ-სთან აშკარა კონფრონტაციაზე არ წავა. პუტინის ყოფილმა მრჩეველმა გამორიცხა როგორც რუსეთის მიერ ჩრდილოეთ კორეის მხარდაჭერა და ჩინეთთან ანტიამერიკული ალიანსის შექმნა, ასევე ფართომასშტაბიანი ინტერვენცია უკრაინასა და საქართველოში.

– პუტინი შეეცდება, სტატუს-კვო შეინარჩუნოს, ანუ გაგრძელდება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მხარდაჭერა, ასევე მოხდება პროვოკაციები საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე, რათა ეს ქვეყანა სრულფასოვან სახელმწიფოდ ვერ ჩამოყალიბდეს. რაც შეეხება ფართომასშტაბიან ინტერვენციას, ეს გამორიცხულია, – ამბობს ილარიონოვი.

ექს-მრჩეველმა ასევე გამორიცხა რუსეთის მიერ დონეცკ-ლუგანსკის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის აღიარება, ან მათი რუსეთის შემადგენლობაში შეყვანა. გაგრძელდება მცდელობა „ალტერნატიული უკრაინის“ ფორმირებისა, რომელიც ამჟამინდელს, „ბანდერელთა უკრაინას“, უნდა დაუპირისპირდეს. ამ პროექტში დონეცკ-ლუგანსკის რესპუბლიკებს წამყვანი როლი ენიჭებათ.

– უკრაინის გახლეჩვის მცდელობები გაგრძელდება. პუტინი ამის გაკეთებას დივერსიების, ტერორის, პროვოკაციების, აგრეთვე დიპლომატიური საშუალებების გამოყენებით შეეცდება. დონბასის ფრონტზე პოზიციური ბრძოლები არ შეწყდება. ლოკალურ გამწვავებებს არ გამოვრიცხავ, მაგრამ ფართომასშტაბიანი ინტერვენცია არ მოხდება! – ამბობს ილარიონოვი.

# „ვაშინგტონ პოსტი“: „ტრამპის საარჩევნო შტაბი რუსებთან იყო დაკავშირებული“



აშშ-ში გრძელდება აჟიოტაჟი საპრეზიდენტო არჩევნებში რუსების ჩარევის გარშემო.

გავლენიანმა გაზეთმა „ვაშინგტონ პოსტმა“ ამას მორიგი ვრცელი სტატია მიუძღვნა. გაზეთი დაწვრილებით ჩერდება ვინმე პოპადოპულოსის პიროვნებაზე, რომელიც ტრამპის შტაბის ვოლონტიორი იყო. კერძოდ, საუბარია პოპადოპულოსის იმეილებზე, რომლებშიც რუსებთან კავშირებზეა საუბარი. ამ წერილების მიხედვით, რუსი დიპლომატები ტრამპის შტაბის წარმომადგენელ ჩარლზ კიუბიკს უნდა შეხვედროდნენ. მზადდებოდა ტრამპის ვიზიტი მოსკოვში.

რუსეთის საგარეო ურთიერთობების საბჭოს წევრმა ტიმოფეევმა ტრამპის შტაბის წარმომადგენლებთან შეხვედრის ფაქტი დაადასტურა. ტიმოფეევმა ისიც განაცხადა, რომ მოსკოვში ტრამპის საარჩევნო პროგრამა ძალიან მოსწონდათ.

– ტრამპი ამბობდა, რომ აშშ-მ აქცენტი არა ცხრა მთას იქით მდებარე ქვეყნების მხარდაჭერაზე, არამედ საკუთარი მრეწველობის განვითარებაზე უნდა გააკეთოს. ჩვენ ამას მივესალმებოდით, – თქვა ტიმოფეევმა.

ამავე დროს რუსმა დიპლომატმა კატეგორიულად უარყო ის, რომ მოსკოვი ამერიკის პრეზიდენტის არჩევნებში ჩაერია.

– რუსეთი სხვა ქვეყნების შიდა საქმეებში არ ერევა. განსაკუთრებით თუ საუბარია ისეთ სახელმწიფოზე, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია, – განაცხადა ტიმოფეევმა.

# სტამბულში ტერორისტი დააკავეს



სტამბულში ტერორისტი დააკავეს. დოკუმენტებში ის ფიგურირებს, როგორც მეჰდი ა., ტერორისტი, ბელგიის მოქალაქე და ისლამური სახელმწიფოს წევრი.

დაკავებულნი არიან მეჰდის მეუღლე და შვილი. მათაც ბრალი ტერორიზმში ედებათ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

## კალეიდოსკოპი

# ჯენიფერ ლოურენსის ფოტო ულტრამემარჯვენეებმა გააკრიტიკეს

ჟურნალ ვოგის სექტემბრის ნომრის გარეკანი, რომელზეც მსახიობი ჯენიფერ ლოურენსი თავისუფლების ქანდაკების ფონზეა გამოსახული, ულტრამემარჯვენე ამერიკელების მხრიდან კრიტიკის ობიექტად იქცა.

გაცხოველებული დისკუსიის მიზეზად იქცა ახალი ამბების ერთ-ერთი პორტალის თანამშრომლის ჯონ კარნის ტვიტი. კერძოდ, მისი თქმით, ოპოზიციური მას მედია თავიდან ვერ აიცილებს „ჩვენზე შეტევას“, თუნდაც მოდით იყოს დაკავებული.

ერთი კვირის წინ აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველმა სტივენ მილერმა და სი-ენ-ენ-ის ჟურნალისტმა ჯიმ აკოსტამ დონალდ ტრამპის საიმიგრაციო პოლიტიკის თაობაზე იკამათეს და მათი დისკუსიის დროს ნახსენები იყო თავისუფლების ქანდაკება.

აკოსტამ სონეტის „ახალი კოლოსის“, რომელიც 1883 წელსაა დაწერილი და 1903 წელს ქანდაკების შიგნით ბრინჯაოს დისკზეა ამოტვიფრული, ციტირება მოახდინა.

როგორც ჟურნალისტმა აღნიშნა, სონეტში ნათქვამია „მომეცით თქვენი დაღლილი, თქვენი ღატაკი, თქვენი უპოვარი ბრბოები, რომლებიც თავისუფლად სუნთქვას ესწრაფვიან“, ხოლო სიტყვები ინგლისურად საუბრის ან პროგრამისტად მუშაობის აუცილებლობაზე, იქ არ არის. ამან მილერის მძაფრი რეაქცია გამოიწვია.

თავის მხრივ კარნიმ განაცხადა:

– თუ თქვენ გსურთ, რომ თავისუფლების ქანდაკება ამერიკის მიუკერძოებელი სიმბოლო იყოს, მის ცენტრალურ ელემენტებს თქვენი საიმიგრაციო რეფორმის საწინააღმდეგო არგუმენტებად ნუ აქცევთ.

ჟურნალმა ვოგმა თავის მხრივ განაცხადა, რომ სექტემბრის ნომერზე მუშაობა რამდენიმე თვით ადრე იწყება და რომ ფოტოსურათი გარეკანისთვის ივნისში შეიქმნა, მანამდე, ვიდრე თავისუფლების ქანდაკება „ტრამპის წინააღმდეგ“ სიმბოლოდ იქცეოდა.

ლოურენსმა კომენტარის გაკეთებაზე უარი განაცხადა.




# ოთხმა ტურისტმა მთელი შვეიცარია 17 საათში შემოიარა



ოთხმა ტურისტმა შვეიცარიის ყველა 26-ვე კანტონი სარეკორდო დროში 17 საათსა და 19 წუთში შემოიარა.

15 წლის რიკარდო კოი, 18 წლის რომანო გატო, 23 წლის დომინიკ პინი და მისი 17 წლის ძმა პასკალ პინი კანტონ ტიჩინოდან მხოლოდ საზოგადოებრივი ტრანსპორტით – ავტობუსებით და მატარებლებით მოგზაურობდნენ. მათ 24 გადაჯდომა დასჭირდათ.

საერთო ჯამში, ტურისტებმა 1000 კილომეტრზე მეტი მანძილი გაიარეს. ისინი საკუთარი მოგზაურობის ანგარიშს ფეისბუქში აქვეყნებდნენ. ახლა უკვე მეგობრებმა საჭირო საბუთები გინესის რეკორდების წიგნს უნდა გაუგზავნონ.

წინა სარეკორდო მოგზაურობის ხანგრძლივობა 18 საათსა და 31 წუთს შეადგენდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ნანა ნადარეიშვილი: მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.**

**ხვიჩა გოგია: კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.**

**მზია დუნდუა: მქონდა ქალური პრობლემები, მივაკითხე ქალბატონ ლამარას და ვარ უკვე გამოჯანმრთელებული. დღესაც ვაგრძელებ მკურნალობას მისი მითითებით.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

### გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

### მკურნალობა

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები. გარანტიით! ტელ: 555-72-64-98.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# ზაზა ფაჩულია: „ჩვენი სავიზიტო ბარათი მებრძოლი სულია“

სულ უფრო და უფრო ცოტა დრო რჩება ევრობასკეტის დაწყებამდე. ქართველ გულშემატკივრებს მომავალი ევროპის ჩემპიონატის ძალიან ეიმედებათ.

იმედებს იძლევა ფიბა-ევროპის ვებგვერდიც, რომელიც პერიოდულად აქვეყნებს რეიტინგს. საქართველო ნაბიჯ-ნაბიჯ წინ მიიწევს: ჩვენი ნაკრები ჯერ მე-14 ადგილზე იყო, შემდეგ მე-11, ბოლო რეიტინგში – მე-9.

საქართველოს ეროვნული საკალათბურთო ნაკრები ევროპის 2017 წლის ჩემპიონატის მოსამზადებელ ციკლში წარმატებულ თამაშს (5 მოგება, 1 მარცხი) აჩვენებს, რაც შეუმჩნეველი არც ევრობასკეტის ოფიციალურ ვებგვერდს დარჩენია.

– ქართველები შეკრების დაწყების დღიდან რეიტინგში წინ მიიწევენ. მათ ამხანაგურად დაამარცხეს ლატვია, ლიტვა და გვაფიქრებინებენ, რომ თავისუფლად შეუძლიათ ევროპის ჩემპიონატზე მეოთხედფინალში გასვლა, – წერია ფიბა-ევროპის ვებგვერდზე.

ევროპის ჩემპიონატთან დაკავშირებით კი რესპონდენტად ქართველთა კაპიტანი ზაზა ფაჩულია აირჩია.

– წარმატების მიღწევა იოლი არაა, თუმცა, ძნელია ევროპის პირველობისთვის იმაზე უკეთესი წინამძღოლი მოსძებნო, ვიდრე ზაზა ფაჩულიაა. 33 წლის ქართველმა ცენტრმა გოლდენ სტეიტ უორიორსთან ერთად ნბა-ს ჩემპიონობა იზეიმა და ლარი ობრაიენის სახელობის თასი თბილისში ჩაიტანა, ახლა კი, ევრობასკეტზე ეროვნულ გუნდთან ერთად წარმატების იმედი აქვს.

გრძელი და დამღლელი სეზონის მერე, ზაზას დასვენების მეტი დრო მისცეს. შესაბამისად, კაპიტანი ნაკრებს თბილისის მერიის თასის წინ შეუერთდა და ჩეხებთან 2 გამარჯვების მოპოვებაში დაეხმარა. სავსე არენაზე ქართველებმა ჯერ 87:76 იმარჯვეს, შემდეგ კი – 68:64.

პირველ შეხვედრაში ფაჩულიამ 30 წუთში 14 ქულა, 11 მოხსნა და 8 პასი მიითვალა და სამმაგ დუბლამდე ცოტა დააკლდა, ხოლო მე-2 მატჩში შედარებით მოკრძალებული მონაგარი ჰქონდა – 6 ქულა, 8 მოხსნა.

ზაზა ფაჩულია:

– ახლა იმაზე ვარ კონცენტრირებული, რომ სასურველ ფორმაში რაც შეიძლება მალე შევიდე. გუნდთან ერთად ვარჯიში გვიან დავიწყე და მართალია, ბიჭებს, სისტემასა და მწვრთნელს კარგად ვიცნობ, ნაკრებთან შერწყმისთვის გარკვეული დრო მაინც მჭირდება. პატარა ბიჭი არ ვარ, რომ ყველაფერი ნულიდან დავიწყო. უფრო ჭკვიანურად თამაშს ვეცდები. კარგად ვიცი, მე რა შემიძლია და გუნდს რა სჭირდება და ამისკენ ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა ვიაროთ.

საქართველოს ნაკრები მანამდეც შთამბეჭდავ თამაშს აჩვენებდა, ვიდრე კაპიტანი შეუერთდებოდა. გუნდმა ლატვიასა და ლიტვას დამაჯერებლად სძლია და ევრობასკეტის წინ, ეს ქომაგისთვის ფრთხილი ოპტიმიზმის საფუძველი



ნამდვილად გახლავთ.

– ევროპის ჩემპიონატზე იოლი მეტოქეები ნამდვილად არ გვერგო. კარგად დაბალანსებული შემადგენლობაა (ისრაელი, იტალია, გერმანია, უკრაინა და ლიტვა). სამწუხაროდ, ტურნირზე ვიქტორ სანიკიძე ვერ დაგვეხმარება, რაც უდიდესი დანაკლისია, თუმცა, კალათბურთი გუნდური სპორტია და ვეცდებით, ეს დანაკლისი შევავსოთ.

ქართველთათვის მნიშვნელოვანი დანაკარგია ბექა ბურჯანაძეც, რომელმაც მარჯვენა მუხლის ტრავმის მოშუშება ვერ მოასწრო და, ცხადია, ეროვნული გუნდის განაცხადშიც არ იქნება.

მიუხედავად ამისა, ფაჩულიას იმედი აქვს, რომ მისი ნაკრები ევრობასკეტზე ისტორიის განმავლობაში საუკეთესო შედეგის მიღწევას მოახერხებს. ამ დროისთვის ქართველთათვის ყველაზე წარმატებული ტურნირი 2011 წელს ჩატარდა, როდესაც მათ მე-11 ადგილის დაკავება შეძლეს.

– იმისთვის, რომ ჩვენი საუკეთესო შედეგი დავაფიქსიროთ, თავდაუზოგავი შრომაა საჭირო. ჩვენ არ ვუყურებთ იმას, თამაში ვის წინააღმდეგ გვიწევს. მთავარია, ფოკუსირება საკუთარ თამაშზე მოვახდინოთ და ყოველი მატჩისთვის განსაკუთრებულად მოვემზადოთ.

ეს ქართველებს გასულ ტურნირებზე განცდილ წარუმატებლობებსაც დაავიწყებს, როდესაც 2013 და 2015 წლების ევროპის ჩემპიონატებზე მათ, შესაბამისად, მე-17 და მე-15 პოზიციები დაიკავეს. ფაჩულიას აზრით, საქართველოს ნაკრებს წარმატებაში საოცარი უტეხი სული უნდა დაეხმაროს:

– მებრძოლი ხასიათი და იმის განცდა, რომ არასდროს უნდა დავნებდეთ, აი ის, რაც ევრობასკეტზე ჩვენი სავიზიტო ბარათი იქნება.

## ლოკომოტივი და ტორპედო 20.000-20.000 ლარით დააჯარიმეს




საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო და დავების განმხილველმა კომიტეტმა 11 აგვისტოს 85-ე წუთზე შეწყვეტილი ლოკომოტივი-ტორპედოს მატჩისას მომხდარი ინციდენტები განიხილა.

კომიტეტმა ორივე კლუბის წარმომადგენლებს მოუსმინა, განიხილა მათი მოხსენებითი ბარათები და მიიღო ასეთი გადაწყვეტილება:

ორივე კლუბი დაჯარიმებულია 20.000-20.000 ლარით. მომდევნო საშინაო მატჩს ლოკომოტივიც და ტორპედოც უმაყურებლოდ ჩაატარებს. ასევე კლუბებს სეზონის ბოლომდე მიეცათ პირობითი სასჯელი – მსგავსი ქმედების გამეორების შემთხვევაში 3 ქულის დაკლებით.

და ერთიც: მეოთხე წრის ტორპედო-ლოკომოტივი უმაყურებლოდ ჩატარდება. შეგახსენებთ, რომ 85-ე წუთზე გულშემატკივართა მხრიდან გამოხატული აგრესიის გამო, შეხვედრის მთავარმა მსაჯამა, გიორგი ყრუაშვილმა მატჩი შეწყვიტა.

პირადად ჩვენი აზრით, სასჯელი ცოტა ლმობიერია: მასპინძელ მხარეს (ლოკომოტივს) უსაფრთხოების ნორმის დაუცველობის გამო მეტი ფინანსური სასჯელი ეკუთვნოდა, ხოლო ტორპედოს, გულშემატკივართა მოხშირებული პიროტექნიკის გამოყენების გამო, მეტი უმაყურებლო მატჩი.

რას აპირებს ტორპედო, ვერ გეტყვით, მაგრამ ლოკომოტივი სადისციპლინო და დავების განმხილველი კომიტეტის გადაწყვეტილებას სააპელაციო კომიტეტში გაასაჩივრებს.

## ახალგაზრდული ნაკრები ევროპას გორიდან დაიწყებს



საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები 1 სექტემბრიდან ევროპის 2019 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლს იწყებს.

შეგახსენებთ, რომ საკვალიფიკაციო ჯგუფში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კონკურენტები პოლონეთი, დანია, ფინეთი, ლიტვა და ფარერები იქნებიან.

1 სექტემბერს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები პირველ მეტოქე პოლონელი თანატოლები იქნებიან.

ფეხბურთის ფედერაციის ცნობით, გადაწყვეტილია, რომ მატჩი გორში, თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონზე გაიმართება და 20:00 სთ-ზე დაიწყება.

*მოამზადა*
*მიხეილ ყორყოლიანმა*

## შედეგები

**15 აგვისტო**
**ფეხბურთი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| ყარაბახი-კოპენჰაგენი | 1:0 |
| აპოელი-სლავია | 2:0 |
| სპორტინგი-სტიაუა | 0:0 |
| ჰოფენჰაიმი-ლივერპული | 1:2 |
| იანგ ბოიზი-ცსკა | 0:1 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

| | |
|---|---|
| ბარნსლი-ნოტინგემი | 2:1 |
| ბირმინგემი-ბოლტონი | 0:0 |
| ბრენტფორდი-ბრისტოლი | 2:2 |
| დერბი-პრესტონი | 1:0 |
| კარდიფი-შეფილდი | 2:0 |
| ლიდსი-ფულემი | 0:0 |
| მიდლსბრო-ბარტონი | 2:0 |
| მილუოლი-იფსვიჩი | 3:4 |
| ჰალი-ვულვზი | 2:3 |
| რედინგი-ასტონ ვილა | 2:1 |

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

| | |
|---|---|
| სლასკი-ნეცეჩა | 1:1 |

## ხელბურთელები მე-19 ადგილისთვის იბრძოლებენ



ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი, დოქტორი ჰასან მუსტაფა სამინისტროს ესტუმრა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრს ტარიელ ხეჩიკაშვილს და მინისტრის მოადგილეს შალვა გოგოლაძეს შეხვდა.

შეხვედრაზე, რომელსაც საქართველოს ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ზურაბ კაკაბაძე და ვიცე-პრეზიდენტი ვახტანგ მეიფარიანი ესწრებოდნენ, ისაუბრეს თბილისში მიმდინარე 19-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე, ასევე საქართველოში ხელბურთის განვითარების გეგმებსა და ხელბურთის ფედერაციის და ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის ერთობლივ პროექტებზე. ჰასან მუსტაფამ აღნიშნა, რომ თბილისში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატი მაღალ დონეზეა ორგანიზებული და მინისტრს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

**საქართველო-ნორვეგია 21:39**

საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატზე ნორვეგიასთან 21:39 წააგო. პრეზიდენტის თასს, რომელიც ჯგუფებში მე-5 ადგილზე გასულ გუნდებს შორის თამაშდება, ნორვეგიის ან სერბეთის ნაკრები აღმართავს, ქართველ ჭაბუკებს კი შანსი აქვთ სადებიუტო მსოფლიო ჩემპიონატზე მე-19 ადგილი დაიკავონ.

მასპინძლებმა პირველი ტაიმი 12:17 წააგეს, მეორე ნახევარი კი უფრო დიდი სხვაობით – 9:22. საქართველოს ნაკრები პირველ ტაიმში ასე თუ ისე ახერხებდა წინააღმდეგობის გაწევას, თუმცა დაიწყო თუ არა მეორე ნახევარი, სკანდინავიელებმა ზედიზედ 4 შეტევა დააგვირგვინეს ზუსტი ტყორცნით და მას შემდეგ მხოლოდ ზრდიდნენ უპირატესობას. მეკარე სანდრო ხანდოლიშვილი, რომელიც უდავოდ საუკეთესო იყო პირველ ტაიმში – ათამდე შეტევა მოიგერია, მეორე ტაიმში ნორვეგიელთა ზუსტ ტყორცნებს ველარ უმკლავდებოდა. ნათელია, საქართველოს ნაკრების დაცვამ კიდევ ერთი შეხვედრა ჩააგდო, ასეთ დროს კი მეკარეზე აუგის თქმა შეცდომაა.

ქართველმა ჭაბუკებმა პირველ ტაიმში ვერაფერი მოუხერხეს ნორვეგიელთა მარცხენა მცველს, მე-8 ნომრით მოთამაშე სინდრე ჰელდალს, რომელმაც 8 გოლი გაიტანა. გოლების უმეტესობა ჰელდალმა ერთი და იმავე კომბინაციის შემდეგ გაიტანა: მოგერიებული შეტევის შემდეგ ის უმალ წინ გარბოდა და ხანდოლიშვილის კართან კუთხიდან შეჭრილი, გრძელ გადაცემებს ბურთის ზუსტი ტყორცნით აგვირგვინებდა. შესვენების შემდეგ ლიდერის როლი მე-10 ნომერმა, ოლაფ რიხტერ ჰოფსტადმა იტვირთა – მან შეხვედრა 11 გოლით დაასრულა.

***ბექა ორჯონიკიძე:***

– ჩილესთან წაგების შემდეგ გაგვიჭირდა სათამაშოდ განწყობა, თან ტრავმებმაც შეგვაწუხა ამ თამაშზე ბევრს ვერაფერ ვიტყვი, წავაგეთ და ეს საწყენია ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ის გამოცდილება მგონია, რომელსაც ბიჭები მსოფლიო ჩემპიონატით იღებენ. იცით, რომ ჩვენი გუნდი პირველად მონაწილეობს ასეთ მნიშვნელოვან შეჯიბრებაში. ჩვენ მსოფლიო ხელბურთის საუკეთესო გუნდებს ვხვდებით, ეს კი უკვე მიღწევაა.

**სერბეთი-ბრაზილია 27:26**

მეორე ნახევარფინალში ბრაზილია-სერბეთს დაუპირისპირდა. თუ სამხრეთ ამერიკელების აქ თამაში ანუ ჯგუფში ჩარჩენა და სანუგეშო ეტაპზე გადმორთვა მეტ-ნაკლებად მოსალოდნელი იყო, ბალკანელთა პლეიოფში ვერ გასვლა გასაკვირი კი იყო.

ბრაზილიამ ჩემპიონატის ერთ-ერთი სენსაცია მაინც შემოგვთავაზა, მოუგო რა პორტუგალიას. საერთოდაც ბრაზილიელები ტურნირის მსვლელობისას აშკარად პროგრესს განიცდიან და თამაშიდან თამაშამდე უმატებენ, ხოლო სერბებისგან აშკარად მეტის მოლოდინი იყო.

მატჩის მიმდინარეობა გვიჩვენებდა, რომ ბრაზილიელები უფრო მეტი შემართებით თამაშობდნენ, სერბებს კი თითქოს მოტივაცია აკლდათ. შეხვედრა კი მართლაც დაძაბული გამოდგა და ბოლო წუთამდე გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. მოიგო იმან, ვისაც მეტი გამოცდილება ჰქონდა, თორემ გამარჯვებას ჟინის და გნებავთ თამაშის ხარისხის მხრივ ბრაზილიელები იმსახურებდნენ.

საბოლოოდ, 27:26 სერბთა სასარგებლოდ და პრეზიდენტის თასის ფინალში ნორვეგიას შეებრძოლებიან.

**ბახრეინი-ალჟირი 37:37 (5:3პ)**

21-24 ადგილებისთვის ჯგუფებში მე-6 ადგილზე გასული გუნდები თამაშობენ. ბაჰრეინის ნაკრებმა ალჟირი, 7-მეტრიანი საჯარიმო დარტყმების შემდეგ, 42:40 დაამარცხა. ძირითადი დრო ფრედ 37:37 დასრულდა.

ორივე გუნდი ჯგუფურ ტურნირში დაცვაში ძალიან ცუდი, არასაიმედო თამაშით გამოირჩა – ბაჰრეინმა ჩემპიონატის მონაწილე 24 ნაკრებიდან ყველაზე მეტი, 177 გოლი გაუშვა, ალჟირმა – 163.

ალი რადის გაწვრთნილმა ბაჰრეინის ნაკრებმა, რომელიც აზიის ჩემპიონი გახლავთ, პირველი ტაიმი 24:19 მოიგო. საწყისი ნახევარი საათიდან რამდენიმე მომენტს გამოვარჩევთ: ბაჰრეინელებმა თავიდანვე ხელთ იგდეს უპირატესობა, ალჟირმა კი პირველად და ერთადერთხელ მე-14 წუთზე გაათანაბრა ანგარიში – 10:10. ამას ბაჰრეინის წუთშესვენება მოჰყვა, რის შემდეგაც ამ გუნდის უპირატესობა მხოლოდ იზრდებოდა.

მეორე ტაიმი აბდელქრიმ ბეშქურის გაწვრთნილი ალჟირის ნაკრების უპირატესობით დაიწყო და დასრულდა კიდეც. 48-ე წუთზე ისევ გათანაბრდა ანგარიში – 30:30, საფინალო სასტვენამდე ათი წამით ადრე 37:37. უკანასკნელი შეტევა ბაჰრეინისა იყო, თუმცა აზიელებმა ალჟირელთა მეკარეს ვერ აჯობეს.

7-მეტრიანების სერიაში კი ბაჰრეინელთა კარის დარაჯმა პირველივე დარტყმა უკუაგდო, რამაც გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი – 42:40.

**არგენტინა-მექსიკა 32:20**

ორივე გუნდი რომ ტურნირის აუტსაიდერთა კატეგორიას განეკუთვნება, ისედაც ცხადი იყო და ჯგუფში მათ მიერ ნაჩვენებმა შედეგებმაც დაადასტურა. რა თქმა უნდა, რაგინდ სუსტი გუნდი იყო, ბოლო, 24-ე ადგილზე ყოფნა მაინც არავის სურს და ამიტომაც იყო, არგენტინა მეტოქეს მსაჯის სასტვენისთანავე რომ ეკვეთა. თავიდანვე გამოჩნდა, რომ ამ წყვილში უკეთესები სამხრეთ ამერიკელები იყვნენ და კარგად დაწყებულ საქმესაც თავისდა სასიკეთოდ მიიყვანდნენ.

გარდა იმისა, რომ მექსიკელებმა შეხვედრა დათმეს, მათთვის დამატებითი გულის წყვეტა თანაგუნდელის მძიმე ტრავმამაც გამოიწვია. მათმა გამორჩეულმა მოთამაშემ ფრანცის აპოდაკამ პირველი ტაიმის მიწურულს კისრის მძიმე დაზიანება მიიღო და საავადმყოფოში გადასაყვანი გახდა.

საბოლოოდ არგენტინამ 32:20 მოიგო და ხვალ პლეიაუტის ფინალში ბაჰრეინს დაუპირისპირდებიან.

## სალმა ჰაიეკმა რაიან რეინოლდსა და ბლეიკ ლაივლის სადილი მოუმზადა

მსახიობმა სალმა ჰაიეკმა სადილი მოუმზადა თავის კოლეგებს რაიან რეინოლდსა და ბლეიკ ლაივლის. ეს ინფორმაცია მან სოციალურ ქსელ ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე განათავსა.

– როდესაც თქვენი მეგობრები სადილზე გეპატიჟებიან, საბოლოოდ მთელი სამუშაოს შესრულება თავად გიწევს, – დაწერა ჰაიეკმა.



ფოტოსურათზე ასახულია ჰაიეკი, რომელსაც ხელში რეინოლდსისა და ლაივლის გოგონა ინესი ჰყავს აყვანილი და ამ დროს მეორე ხელით რაღაცას ამზადებს. უკანა პლანზე კი თავად რეინოლდსი მოჩანს.

ერთ-ერთი გამოცემის ინფორმაციის თანახმად, ეს ინესის პირველი ფოტოა 2016 წლის დეკემბრის შემდეგ. მაშინ ის ჰოლივუდის დიდების ხეივანში მამისადმი მიძღვნილ ცერემონიას დაესწრო. მაშინ გოგონა ორი თვის იყო. შეგახსენებთ, რომ რეინოლდსა და ლაივლის ასევე ორი წლის გოგონა ჯეიმსი ჰყავთ.

ჰაიეკი და რეინოლდსი ერთად არიან გადაღებული ფილმში „ქილერის პირადი მცველი“ (2017 წელი).

## ელისაბედ II-მ წვეულება აბბა-ს სტილში გამართა

დიდი ბრიტანეთის დედოფალმა ელისაბედ II-მ ბრიტანეთის მონარქების რეზიდენცია უინძორის ციხესიმაგრეში წვეულება მოაწყო. ღონისძიებაზე, რომელზეც ცნობილი შვედური ჯგუფის აბბა-ს მუსიკა ჟღერდა, დიდებულები და მათი სტუმრები იყვნენ მიწვეულები.

წვეულება, რომელიც რაიმე განსაკუთრებული მიზეზის გარეშე იქნა მოწყობილი, ციხესიმაგრის კინოკლუბში მიმდინარეობდა. მას სულ 500 ადამიანი ესწრებოდა. შესასვლელი ბილეთი 12,5 ფუნტი ღირდა (დაახლოებით 16 დოლარი). წვეულებაზე მოქმედებდა დრეს-კოდი: დამსწრენი აბბა-ს სტილში უნდა ყოფი-



ლიყვნენ გამოწყობილნი. ასეთი თემატიკა იმის გამო იქნა შერჩეული, რომ დედოფლის საყვარელ სიმღერას Dancing Queen-ი წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ წვეულების სტუმრები ცეკვავდნენ, მღეროდნენ და შამპანურს მიირთმევდნენ. დაღამების შემდეგ მათ აჩვენეს მიუზიკლ „მამა მიას“ ეკრანიზაცია, რომელიც აბბა-ს სიმღერებზეა დაფუძნებული.

შეგახსენებთ, რომ კვარტეტი აბბა 1972-82 წლებში არსებობდა და მისი სახელწოდება შემსრულებლების სახელების პირველი ასოებისგან იყო შემდგარი.

## ჩელსი მენინგმა ფოტოსურათი ვოგისთვის გადაიღო



პორტალ ვიკილიქსის ინფორმატორმა ჩელსი მენინგმა ინსტაგრამში ჟურნალ ვოგისთვის გადაღებული საკუთარი ფოტოსურათი გამოაქვეყნა.

– ვფიქრობ, აი ასე გამოიყურება თავისუფლება, – დაწერა მენინგმა კომენტარში, რომელიც საპატიმროდან მაისში გამოვიდა. მას შემდეგ ის ნიუ-იორკში ცხოვრობს და განმარტოვებით ყოფნას და ხალხში ნაკლებად გამოჩენას ამჯობინებს.

მენინგმა ჟურნალს განუცხადა, რომ ადრინდელივით უყვარს ვიდეოთამაშები, თუმცა ამავე დროს უარი თქვა ისეთ თამაშებზე, რომლებში ძალადობაა. ის ასევე მუშაობს მემუარებზე.

გარდა ამისა, მენინგმა განაცხადა, რომ მარტო ყოფნას აღარ აპირებს, თუმცა იმ დროს დაელოდება, როდესაც მერილენდში მისი ცხოვრება მოგვარდება, ხოლო როგორი კარიერა ექნება მომავალში, ჯერ არ იცის.

## ნიკი რიდი და იენ სომერჰოლდერი მშობლები გახდნენ



მსახიობი ნიკი რიდი, ცნობილი ფილმიდან „ბინდი“, და მსახიობი იენ სომერჰოლდერი, რომელიც გადაღებულია სერიალ „ვამპირის დღიურები“, მშობლები გახდნენ.

წყვილს ეყოლათ გოგონა, რომელსაც ბოდჰი სოლეი დაარქვეს. ის მათი პირველი შვილია.

რიდი და სომერჰოლდერი 2015 წლის აპრილში დაქორწინდნენ. ის რომ მათ ოჯახში მატება იქნებოდა, წყვილმა 2017 წლის მაისში განაცხადა.

ერთ-ერთ ინტერვიუში რიდმა განაცხადა, რომ ბავშვის დაბადების შემდეგ, მათ სამს ერთად „მშვიდი თვე“ ექნებათ. მაგალითად, წყვილი აპირებს ტელეფონი გამორთოს და არავის აღარ შეხვდეს.

## დანიელმა დიზაინერმა პოდიუმზე შიშველი მოდელები გამოიყვანა



დანიელმა დიზაინერმა ნიკოლას ნიუბრომ პოდიუმზე სრულიად შიშველი მოდელები გამოიყვანა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

ჩვენება კოპენჰაგენში მოდის კვირეულის ფარგლებში გაიმართა. მასში მონაწილეობდნენ როგორც ქალი, ისე მამაკაცი მოდელები.

როგორც ნიუბრომ განაცხადა, მისი დეფილე ადამიანის სხეულს მიეძღვნა. მისი თქმით, მას რაიმე პროვოკაციული არ ჩაუფიქრებია, მხოლოდ სურდა ყველასთვის შეეხსენებინა, ყოველი ადამიანი ტანსაცმლის ჩაცმამდეც მშვენიერია.

გამოცემა ასევე აღნიშნავს, რომ ნიუბრომ მიიწვია „ნორმალური ადამიანები“, რომელთაც ფიზიკურად სრულყოფილებს ვერ უწოდებთ.

## ჩენინგ ტატუმის ცეკვების ვიდეომ მილიონობით ნახვა მოაგროვა



ვიდეომ, რომელზეც ავტოგასამართ სადგურზე ამერიკელი მსახიობის ჩენინგ ტატუმის ცეკვებია ასახული, ორ დღეში 14 მილიონი ნახვა მოაგროვა. ვიდეორგოლი ფეისბუქში მსახიობის გვერდზე გამოქვეყნდა.

– არაფერია იმაზე უკეთესი, ვიდრე ცეკვის საღამო, – დაწერა ტატუმმა კომენტარში და ავტოგასამართი სადგურის თანამშრომელ ბეატრისს, რომელმაც კომპანიონობა გაუწია, მადლობა გადაუხადა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ვიდეო ჩრდილოეთ კაროლინას შტატში ქალაქ სტეიტსვილშია გადაღებული. ტატუმი აშშ-ში მოგზაურობს კამპანიის ფარგლებში, რომელიც მის ახალ ფილმს „ლოგანის წარმატება“ ეძღვნება, და უბრალო ადამიანებთან ურთიერთობს.

თავად მსახიობის თქმით, ფილმის ასეთი რეკლამირება ძალიან მოსწონს.

## ბრიტანელი ბროკერი შეცდომით ლონდონის ნაცვლად ლას-ვეგასში გაფრინდა




ბრიტანელი ფინანსური ბროკერი სემიუელ იანკოვსკი შეცდომით ლონდონის ნაცვლად ლას-ვეგასში ჩაფრინდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი გამოცემა ავრცელებს.

29 წლის იანკოვსკი სამშობლოში კიოლნიდან (გერმანია) ავიაკომპანია ურონინგს-ის თვითმფრინავით უნდა გაფრენილიყო. რაღაც მიზეზის გამო, ის სულ სხვა თვითმფრინავში ჩაჯდა. იქ მას ჩაეძინა, ხოლო როდესაც გაეღვიძა, მიხვდა, რომ თვითმფრინავი სულ სხვა მიმართულებით მიფრინავდა.

ვაი-ფაით იანკოვსკი თავის ფეხმძიმე მეუღლეს დაუკავშირდა, რომელმაც თავის მხრივ, ავიაკომპანიას საჩივრით მიმართა. ამ დროს კი ბრიტანელი ლას-ვეგასის საერთაშორისო აეროპორტ მაკ-კარანში ჩაფრინდა.

ბროკერის თქმით, ამერიკის საიმიგრაციო სამსახურის თანამშრომლები მას ისე მიუდგნენ, როგორც „დამნაშავეს“ და უვიზოდ შესვლის მცდელობისთვის დაპატიმრებით დაემუქრნენ.

იანკოვსკიმ კიოლნში დაბრუნება მოახერხა, მაგრამ ავიაკომპანია Eurowings-ს მხრიდან აკრძალვის გამო, ლონდონში შტუტგარტიდან გაფრინდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 17 აგვისტოსთვის



**ვერძი** – ნუ გარისკავთ. ერიდეთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ქმედებებს, ასევე ქალაქგარეთ გასვლას. **კურო** – კარგი პერიოდია ხანმოკლე მივლინებებისა და საქმიანი შეხვედრებისათვის. მთავარია, მომენტი სწორად შეარჩიოთ. ნუ ეტყვით უარს მეგობრებს დახმარებაზე. **ტყუპები** – დღეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება მოგიწევთ. დაუფიქრებელ ნაბიჯს ნუ გადადგამთ. ეცადეთ, სულიერი წონასწორობა შეინარჩუნოთ. **კირჩხიბი** – მოულოდნელი ინფორმაცია მთელ გეგმებს თავდაყირა დაგიყენებთ. იოლად არავის მიენდოთ. **ლომი** – დღის დევიზია სიყვარული, სიმშვიდე და თანხმობა. ეცადეთ, საყვარელ ადამიანთან მეტი დრო გაატაროთ. **ქალწული** – ვარსკვლავების კეთილგანწყობა გიბრუნდებათ. მძიმე პერიოდი დამთავრდა. გელით საინტერესო ახალი ნაცნობობა. **მშვილდოსანი**... **სასწორი** – ნერვულ გადაღლილობას სუფთა ჰაერზე სეირნობა და მეგობრებთან ურთიერთობა მოგიხსნით. ნოსტალგია შემოგიტევთ. **ღრიანკალი** – ეცადეთ, თქვენი გეგმები ახალგაცნობილ ადამიანებს გაანდოთ. სასარგებლო რჩევებს მიიღებთ. **მშვილდოსანი** – სწორი კვება და ფიზიკური დატვირთვა ჯანმრთელობის მდგომარეობას გაგიუმჯობესებთ. შემოქმედებითი აღმავლობის დღეა. **თხის რქა** – სამუშაო თქვენგან მტკიცე დისციპლინასა და ორგანიზებულობას მოითხოვს. მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტას საკმაოდ იოლად შეძლებთ. **მერწყული** – დაძაბული დღეა. სამსახურში უფროსობასთან კონფლიქტი გელით. გამოიჩინეთ კეთილგონიერება და ემოციებს არ აჰყვეთ. **თევზები** – ახალი საქმის დაწყება არ ღირს. შემოთავაზებულ წინადადებას ნუ დათანხმდებით. საეჭვო ხალხთან ურთიერთობას პლანეტები არ გირჩევენ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. საყვარლის კმაყოფაზე მცხოვრები მამაკაცი; 2. ბილიარდის თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 3. ინგლისელი ქართველოლოგი, „ვეფხისტყაოსნის“ პროზაულად მთარგმნელი; 5. ტრიგონომეტრიული ფიგურა; 7. ისრაელის პარლამენტი; 9. უკრაინის პრეზიდენტი; 13. გაერთიანებული სამეფოს დედაქალაქი; 15. ქართული ლუდი; 16. სამურაების მეთაური; 18. სასვენი ნიშანი გრამატიკაში.

**თარაზულად:** 4. ნიჩბოსანთა სავარჯიშო ნავი; 6. წარწერა საფლავის ქვაზე; 8. საზღვაო გადაზიდვების პირობების შემცველი დოკუმენტი; 10. ღვინის, ლუდის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 11. ფრანგული საავტომობილო ფირმა; 12. განუხორციელებელი ოცნება; 14. ქართული ტელეკომპანია; 17. იაპონელი მოდელიორი; 19. მონასტერი სიღნაღის რაიონში; 20. სახელმწიფო ევროპაში; 21. ძვირფასი ლითონი; 22. ზემდგომი ორგანოების სახელმძღვანელო მითითება, რომლის შესრულებაც სავალდებულოა; 23. ლონდონის „არსენალის“ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. თუტმოსი; 2. ტიროლი; 3. მისისიპი; 4. გენეტიკა; 7. ქათინაური; 8. ესკულაპი; 12. ბადაგონი; 14. ამუდარია; 16. სანტოსი; 17. არქტიკა; 19. რადა; 20. კოკი.

**თარაზულად:** 5. სუროგატი; 6. კვირინალე; 9. ჯორჯია; 10. ლოტოსი; 11. ეკერი; 13. ბახში; 15. ამლახუ; 18. ხარკი; 21. ღრიანკალი; 22.ოოლოგია; 23. ბაგრატი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ჰეროინი; 2. პანორამა; 3. ურთხელი; 5. აფერისტი; 7. ვაგნერი; 9. რეპარაცია; 13. მირკანი; 15. შურთხი; 16. ორვილე; 18. ულისე.

**თარაზულად:** 4. პედიატრი; 6. ავადჰარა; 8. კონცენტრატი; 10. ამნეზია; 11. პული; 12. ირონია; 14. აშული; 17. დათვი; 19. გროგი; 20. პირსინგი; 21. არფა; 22. ფილისტერი; 23. ვერდერი.

# ნუკი კოშკელიშვილს ოპერაცია გაუკეთეს



ტელეწამყვან ნუკი კოშკელიშვილს ოპერაცია გაუკეთეს. ფოტოები საავადმყოფოდან ნუკიმ ინტერნეტით თავად გაავრცელა და საზოგადოებაში დიდი დაინტერესება გამოიწვია.

ნუკი გაგუას კლინიკაში ხალის გაზრდის გამო მივიდა, თუმცა კვლევებით მას საგანგაშო ვერაფერი დაუდგინდა. ექიმებმა ხალის მოკვეთის გადაწყვეტილება მიიღეს. ნუკიმაც ფოტო საოპერაციოში გადაიღო და სოციალურ ქსელში გაავრცელა.

როგორც ტელეწამყვანმა ჟურნალისტებს განუცხადა, თავს კარგად გრძნობს და მის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება.

# თემურ თათარაშვილმა 50 წლის იუბილე ბათუმში აღნიშნა



მომღერალმა თემურ თათარაშვილმა 50 წლის იუბილე ბათუმში კონცერტით აღნიშნა.

თბილისში მეგობრებთან ერთად ჩატარებული კონცერტის შემდეგ, მომღერალმა კონცერტი პირველად ბათუმის მუსიკალურ ცენტრში გამართა.

„მე სანამ შენამდე მოვედი“ – ასე უწოდა იუბილარმა მომღერალმა კონცერტს, რომელიც მაყურებლის თხოვნით დაინიშნა.

თემურ თათარაშვილს იუბილე მეგობრებმაც მიულოცეს და მის კონცერტში სიმღერებით მიიღეს მონაწილეობა.

# გიორგი სუხიტაშვილი ჟურნალისტებს გაუნაწყენდა



თბილისის ბიგ ბენდმა ორ მსოფლიო მნიშვნელობის ჯაზ ფესტივალში მიიღო მონაწილეობა, სადაც ქართველ მუსიკოსებთან და მომღერლებთან ერთად, მსოფლიო დონის ვარსკვლავებიც მონაწილეობდნენ.

თბილისის ბიგ ბენდის სოლისტი, მომღერალი გიორგი სუხიტაშვილი ჟურნალისტებს მათი წარმატებისადმი უყურადღებობის გამო გაუნაწყენდა:

– თბილისის ბიგ ბენდი იყო ორ ძალიან კარგ ჯაზ ფესტივალზე, სადაც ძალიან კარგი რეზონანსი მოჰყვა ჩვენს კონცერტებს. ფესტივალებზე, სადაც მონაწილეობდნენ მაიკლ შტერნი, პატი ოსტინი, ქენდი დალფერი ტონი მომრელი და ა.შ. და ყველაფერ ამაზე ყურადღება ქართული პრესის, რადიო-ტელევიზიისგან არანაირი!

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# თიკა ბალანჩინმა და მისმა ბენდმა ირაკლი ჩარკვიანისადმი მიძღვნილ კონცერტში მონაწილეობაზე უარი განაცხადა



ბლექ სი არენაზე ირაკლი ჩარკვიანისადმი მიძღვნილი კონცერტი „ირაკლი ჩარკვიანი – ისტორია“ გაიმართა. მასში მონაწილე მომღერალმა თიკა ბალანჩინმა და მისმა ბენდმა „ნიუ ვან“ კონცერტის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე სპეციალური განცხადება გაავრცელა და კონცერტში მონაწილეობაზე უარი განაცხადა:

– ჩვენო ერთგულო მსმენელო! გაცნობებთ, რომ კონცერტზე, რომელიც გაიმართება ბლექ სი არენაზე „ირაკლი ჩარკვიანი – ისტორია“ „ნიუ ვან“ ბენდი მონაწილეობას აღარ მიიღებს. დაცვის სამსახურისა და ორგანიზატორთა არაპროფესიონალიზმის, არაორგანიზებულობის და არაადამიანური ქცევის გამო.

ძალიან სამწუხაროა, რომ დღემდე ამ სფეროში არიან ასეთი არაკომპეტენტური ხელმძღვანელები, რომლებმაც არ იციან ელემენტარული ადამიანური მოქცევის წესები და არ გააჩნიათ საკმარისი გამოცდილება ამ სფეროში მოღვაწეობისთვის. მით უმეტეს, მათი ქცევა არ შეესაბამება იმ ღირებულებებს, რა ღირებულებების მატარებელიც იყო და არის ირაკლი ჩარკვიანი მთელი თავისი ცხოვრებით და შემოქმედებით.

სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ ჩვენ უარი ვთქვით ამ კონცერტში მონაწილეობაზე. ბოდიშს ვუხდით ჩვენს მსმენელს შექმნილი ვითარების გამო და წინ გველოდება ძალიან ბევრი სიახლე!

# ბორჯომ-ბაკურიანის რკინიგზას და ე.წ. კუკუშკას ძეგლის სტატუსი მიენიჭა



ბორჯომის მუნიციპალიტეტის ქალაქ ბორჯომში მდებარე ბორჯომ-ბაკურიანის რკინიგზას და მის შემადგენელ ნაწილს, ე.წ. კუკუშკას საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორის ნიკოლოზ ანთიძის შესაბამისი ბრძანებით, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

რკინიგზაზე სამოძრაოდ 1902 წლისთვის სპეციალურად ინგლისიდან ჩამოიყვანეს პორტერის ტიპის ორთქლმავალი, რომელსაც ებმოდა ღია ტიპის ვაგონები, რომლებიც მხოლოდ მოაჯირით იყო შემორაგული. 1967 წელს რკინიგზამ ელექტროფიკაცია განიცადა, ამიტომ შეიცვალა ორთქლმავალიც და მისი ადგილი ელექტრომატარებელმა დაიკავა. ძველი კუკუშკა კი ბორჯომში სამუზეუმო ექსპონატად იქცა. ორთქლმავალი დღეს ბორჯომიდან ბაკურიანისკენ მიმავალი გზის მარცხენა მხარეს დგას რკინიგზის სადგურის ბოლოში.

თბომავალი ბორჯომ-ბაკურიანის რკინიგზის კომპლექსის შემადგენელი ნაწილია, რომლის მშენებლობა 1897 წელს დაიწყო და 1902 წელს ამოქმედდა. რკინიგზის ხაზი იწყება ბორჯომის რკინიგზის სადგურზე და სრულდება დაბა ბაკურიანში, სულ 37.2 კილომეტრი.

ბორჯომ-ბაკურიანის სარკინიგზო კომპლექსი საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია, რომელიც თავისთავში ასახავს XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში განვითარებულ ინდუსტრიულ პროცესებს. გარდა ამისა, ერთ-ერთი პირველი და ამავე დროს ერთადერთი ვიწროლიანდაგიანი სარკინიგზო ხაზია საქართველოში, და ერთ-ერთი პირველი საინჟინრო-ტექნოლოგიური კომპლექსი, რომელიც დღემდე ფუნქციონირებს.

სპორტი

# მოჭიდავეები მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადებიან



21-26 აგვისტოს პარიზში გაიმართება მსოფლიოს ჩემპიონატი ჭიდაობის ორივე სახეობაში. საქართველოს ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა გუნდების მთავარმა მწვრთნელებმა უკვე დაასახელეს საფრანგეთის დედაქალაქში წასაყვანი შემადგენლობები.

თავდაპირველად ბერძენ-რომაელები იჭიდავებენ, რომლის შემადგენლობაში ერთი სიახლეცაა: 59 კილოგრამში ლერი აბულაძის ნაცვლად ლაშა მარიამიძე იჭიდავებს.

ოპერაციის შემდეგ გუნდს 80 კილოგრამში ევროპის ჩემპიონი ზურაბ დათუნაშვილი დაუბრუნდა.

აქვე გეტყვით, რომ ამ გუნდში მსოფლიოზე იჭიდავებს ევროპისა და ოლიმპიური პრიზიორი შმაგი ბოლქვაძეც, მხოლოდ 66-ის ნაცვლად 71-ში გამოვა.

ევროპირველობის მედალოსნებს მსოფლიოზე წასვლა იმთავითვე დაუბევა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა მთავარმა მწვრთნელმა გიორგი იანტბელიძემაც, დანარჩენ წონებში კი ბალავაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირის შედეგებს დაეყრდნო.

იანტბელიძე პარიზში საბრძოლო შემადგენლობით მიდის: ევროპის სამგზის, ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (61), ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოსა და ოლიმპიური პრიზიორი გენო პეტრიაშვილი (125), ევროპის ფინალისტი ბექა ლომთაძე (57), ბრინჯაოს მედალოსანი ზურაბ იაკობიშვილი (65).

ამჟამად ორივე ნაკრები დასკვნით შეკრებას გადის: ბერძენ-რომაელები ბორჯომში ვარჯიშობენ, „თავისუფლები“ კი დუშეთში ემზადებიან.

ბერძნულ-რომაული ნაკრები: ლაშა მარიამიძე (59კგ), გოგა გოგიბერაშვილი (66), შმაგი ბოლქვაძე (71), მინდია წულუკიძე (75), ზურაბ დათუნაშვილი (80), რობერტ კობლიაშვილი (85), რევაზ ნადარეიშვილი (98), ლევან არაბული (130);

თავისუფალი სტილის ნაკრები: ბექა ლომთაძე (57), ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (61), ზურაბ იაკობიშვილი (65), ზურაბ ერბოწონაშვილი (70), ჯუმბერ ყველაშვილი (74), დავით ხუციშვილი (86), ელიზბარ ოდიკაძე (97), გენო პეტრიაშვილი (125);

# 16 წლამდე ნაკრები პლეი ოფში გავიდა



საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის დივიზიონში პლეი ოფში თამაშის უფლება მოიპოვა. ბუბა ბერიშვილისა და თემურ კანკიას გაწვრთნილმა გუნდმა ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში კოსოვოს ნაკრები 77:48 გაანადგურა და მე-2 ადგილით გავიდა.

კოსოვოსთან მატჩში ირაკლი სულხანიშვილი გამოირჩა, რომელმაც 22 ქულა და 11 მოხსნა დააგროვა. 20 ქულა და 6 მოხსნა ჰქონდა რატი ანდრონიკაშვილს, ვოვა თავაქრაშვილის ანგარიშზე კი 18 ქულა და 11 მოხსნა დაგროვდა.

შეგახსენებთ, რომ ჩვენი ნაკრები პირველ ტურში მაკედონიის (88:53) განადგურების შემდეგ დიდ ბრიტანეთს შეხვდა და დამარცხდა (58:85), მაგრამ პორტუგალიელთა (80:59) და ლუქსემბურგელთა (77:38) დამარცხების შემდეგ პლეი ოფში თამაშის უფლება მაინც მოიპოვა.

პლეი ოფში ჩვენების მეტოქე ჩეხეთი იქნება, რომელმაც თავის ჯგუფში ყველა მატჩი მოიგო და პირველი ადგილი დაიკავა.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## სამგლოვიარო განცხადებები

ყოფილ დეპარტამენტ „სამტრესტის“ მეღვინე-ტექნოლოგები თანაგრძნობას უცხადებენ მეგობარსა და კოლეგას ანზორ ფეიქრიშვილს მეუღლის, ქალბატონი

**ლამარა ფეიქრიშვილი-ხადურის**

გარდაცვალების გამო.

**პანაშვიდი:** 17. 18 აგვისტოს, 17 საათზე, კეკელიძის ქუჩა №15, III სართული.

**გამოსვენება:** 19 აგვისტოს, 15 საათზე, საბურთალოს სასაფლაოს წმინდა სამების (გაზდელიანის) ეკლესიიდან.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## პროგრამა

ხუთშაბათი
17 აგვისტო

**06.00** მუსიკა პირველზე **06.30** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **07.30** "ნამდვილი დრო" **08.00** "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **09.00** ტ/სერ. "**წინ წარმატებისკენ**" **10.00, 02.50** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "საუკუნის პორტრეტები" **13.00, 03.50** დღის მხ/ფ "**დილიჟანსი**" (ჯ.უეინი) **15.00, 05.25** დოკ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" **16.15** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **17.00** ტ/სერ. "**ოფისი**" **18.30** "ტელებლოგი" **19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **20.40** "სპორტის დაფა" **21.00** ტ/სერ. "**ცბიერი მოახლეები**" **22.00** ტ/სერ. "**მთავრობა**" **23.00** მხ/ფ "**გაზეთი**" (გ.ქლოუზი) **00.50** მხ/ფ "**ომი**" (კ.კოსტნერი)

**ტექნიკური მიზეზების გამო არხის პროგრამას ვერ ქთავაზობთ.**

**07.00, 14.40** სერ. "**ელიფი**" **08.00, 16.00** სერ. "**ოჯახური პორტრეტი**" **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.45** ქრონიკა **09.20** სერ. "**პატარძალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** სერ. "**ღირსების სახელით**" **17.35** სერ. "**ხაფანგი**" **18.45, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. "**ძმა**" **22.30** სერ. "**ელ პრინსიპე**" **7** სერ. **00.00** მხ/ფ "**ციდან სამ მეტრზე 2**" **02.15** მხ/ფ "**კარგი ექიმი**" **03.00** მხ/ფ "**ჰანა**" **04.50** მხ/ფ "**ციდან სამ მეტრზე**"

**06.00** სერ. "**კაცი**" **07.00, 19.45, 20.03** სერ. "**დესპოტი ქმარი**" **08.00** სერ. "**ინდიანა ჯონსის მემკვიდრეები**" **09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **09.10** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** სერ. "**ვარსკვლავის დაბადება**" **13.55** სერ. "**ფერიჰას საიდუმლო**" **15.30** სერ. "**წარსულის ჩრდილი**" **16.55** სერ. "**დაკარგული წლები**" **18.45** სერ. "**კაცი**" **22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**"

**08.00** ან/ფ "ავატარი **2**" **2-3** სერ. **09.00** სერ. "**მონკი 5**" **13.00** სერ. "**ძვლები 2**" **17.00** სერ. "**სიმართლის ანატომია**" **19.00** სერ. "**გრეის ანატომია 13**" **21.00** სერ. "**კრიმინალური რომანი 2**" **1** სერ. **22.30** სერ. "**მისტერ რობოტი 2**" **02.30** მხ/ფ "**სამი მეფე**" **04.30** მხ/ფ "**უტეხი**" **06.30** მხ/ფ "**ცეცხლი და ყინული**"

**08.00** ანანდა **08.10** მულტფილმი **08.20** სერ. "უდიდესი გეოგრაფიული აღმოჩენები" ნანსენი **09.20** მულტ/სერ. "სისი" **09.50** სერ. "**სიყვარულსა და შიშს შორის 10.40, 13.40, 14.40, 17.40, 21.25, 22.25** ტელემარკეტი **11.00, 14.00, 17.00, 17.55, 19.00, 23.30, 02.20** ახალი ამბები **11.20** სერ. "**ყველაფერი ცხოველების შესახებ**" **11.50** მოდი გავიყაროთ **12.40** ბენეფისი **15.00** სერ. "**ბანდოლერა**" **18.00** ღია სტუდია **19.55** მე რომ ვიყო **20.00** სერ. "**ფოილის ომი**" **21.30** რემისია **22.35** სერ. "**სიყვარულსა და შიშს შორის 0.00** მხ/ფ "**დაკარგული კუნძული**" **1.30** მოდი გავიყაროთ **03.00** ღია სტუდია **04.00** სერ. "**რაუ**"

**06.15** ქრისტიანული ხელოვნება "თანამედროვე ქართული საეკლესიო ხელოვნება" **06.25** მუს. პაუზა **06.40** პატერიკი-ღირსი დედა მარიამ ეგვიპტელი **06.45** აქტუალური თემა "ბედისწერა" **07.25** ქართული ალბომი "გელა ქოქიაშვილი" **07.50** სამყაროს შექმნა **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** დ/ფ "ველური ბუნება-კლდეთა ბინადარნი" **09.05** "განთიადი"-კოლაჟი **10.20** მხ/ფ "**ენი მწვანე სახურავების მამულიდან**" **11.05** პორტრეტები ერთსულოვნების გალერეადან-პავლე ინგოროყვა **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ "**აკაკის აკვანი**" **13.30** "შუადღის სტუმარი"-მღვდელი იაკობ ჩიჩილიძე-მიცვალებულთათვის ლოცვის შესახებ **13.55** "შუადღის სტუმარი"-მამუკა ჭოხონელიძე-ტიხრული მინანქარი **14.30** დ/ფ "ველური ბუნება-კონდორის უკანასკნელი გადაფრენა" **15.05** ქართული ან/ფ **15.25** დ/ფ "გერგეტის მყინვარი" **16.15** ტრაპეზი "სტაფილოს და ვაშლის სალათი" **16.00** კონცერტი **16.55** ქრისტიანული ხელოვნება "სამხედრო ისტორია ხელოვნებათმცოდნეობასთან კავშირში" **17.30** ჩვენი ფონდი "კოლონიური გამოცდილება და ქართული ლიტურგია" **18.10** ისტორიის დღიური **18.15** ერთხელ ბავშვობაში "დოდო ხიმშიაშვილი" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00** დ/ფ **19.10** მხ/ფ "**საბუდარელი ჭაბუკი**" **20.40** ძილი ნებისა "მეფე ლომი და კატა" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** ზღვარზე-"როცა აყვავდა ნუში" **22.00** სად უჩინარდებიან ჩემპიონები "ვაჟა კაჭარავა" **22.20** ჩვენი საგანძური "ქაშვეთის ტაძრის მოხატულობა" **22.40** "კვირიაკეს" სიუჟეტი-"იუნკერების მოგონებები" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მოკ. მხ/ფ "**მჭედელი**" **23.45** ღვთის სახლი "კომანი" **00.00** საეკლესიო კალენდარი **00.10** სიახლენი **00.30** დ/ფ "მესაზღვრე ბერები"

**08.00 - 03.00** ახალი ამბები (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.15 - 02.15** სპორტი (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.30- 02.30** ახალი ამბები მსოფლიო (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.00, 10.00, 13.00, 19.00, 23.00, 01.00** ბიზნესი **21.00** მთავარი გამოშვება

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

17 აგვისტოსთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.3995 |
| ევრო | 2.8191 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.0997 |
| 100 რუსული რუბლი | 3.9964 |

## ამინდის პროგნოზი 17 აგვისტოსთვის





## 1 აგვისტოდან




ქართული დეტექტივი
მე-15 ტომი

მაია ბურჭულაძე

უფასო ბილეთი წარსულში

ორშაბათის სიზმარი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი


# მილანს არტურო ვიდალის ყიდვა სურს



მილანმა წლევანდელ საზაფხულო სატრანსფერო ბაზარზე უკვე უამრავი ფეხბურთელი იყიდა, მაგრამ მილანელები გაჩერებას არ აპირებენ და მათი მორიგი სამიზნე ბაიერნის ჩილელი ნახევარმცველი არტურო ვიდალია.

ვიდალი ბაიერნში თავს კარგად გრძნობს, მაგრამ მილანი მას უფრო მაღალ ანაზღაურებას ჰპირდება, ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ ვიდალმა გუნდის შეცვლა გადაწყვიტოს. ტრანსფერის სხვა დეტალები ჯერჯერობით ცნობილი არ არის და მილანს ბაიერნისთვის ოფიციალური წინადადებით არ მიუმართავს.

შეგახსენებთ, რომ მილანმა იუვენტუსის მცველი ლეონარდო ბონუჩი იყიდა და ამ ტრანსფერზე იტალიაში დღემდე საუბრობენ.

# კარლოს ბაკა ვილიარეალში?



იტალიური მილანის კოლუმბიელი ფორვარდი კარლოს ბაკა კარიერას, სავარაუდოდ, ესპანეთში გააგრძელებს.

ბაკას შეძენა ვილიარეალს სურს, რომელიც მზად არის, ამ ტრანსფერში 15 მილიონი ევრო გადაიხადოს.

ის ფაქტი, რომ ბაკა მილანიდან წასვლას აპირებს, არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს, რადგან იტალიელების მწვრთნელი ვინჩენცო მონტელა აქცენტს სხვა ფეხბურთელებზე აკეთებს.

ბაკამ სახელი სწორედ ესპანეთში გაითქვა, სადაც ის წლების მანძილზე სევილიის ღირსებას იცავდა, რომელთან ერთადაც მან 2-ჯერ ზედიზედ მოიგო ევროპის ლიგა.

# ჩელსი დრინკვოტერის ყიდვას შეეცდება



ლონდონის ჩელსი კიდევ რამდენიმე ტრანსფერის განხორციელებას აპირებს და მისი ერთ-ერთი მთავარი სამიზნე ლესტერის ნახევარმცველი დანიელ დრინკვოტერია, რომელიც პრემიერ ლიგაში ერთ-ერთი საუკეთესოა თავის პოზიციაზე.

ლესტერისთვის საჩემპიონო სეზონში დრინკვოტერმა თითქმის გადამწყვეტი როლი შეასრულა და მისი ყიდვა ბევრ კლუბს სურდა, თუმცა მან ლესტერში დარჩენა ამჯობინა. დრინკვოტერის ტრანსფერში ჩელსი მზად არის, 40 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადოს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

# იუმორი



კაცს ქალს ურიგებენ. ნახა და გარეგნულად მოეწონა, მაგრამ ქალმა პირი დააღო თუ არა, კაცი წამოხტა, ქურთუკი ჩაიცვა და მიდის. მასპინძელი ეკითხება:

– სად მიხვალ?

– შტერი ჩემი თავი მეზარება და ახლა ამის ცოლობაღა მაკლია?..

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ურეკავს რაიონიდან და ეუბნება:

– კარგი გოგო შეგირჩიე საცოლედ, მაგრამ სურათი ვერ გადავუღე, არ მიჩერდება.

– შე დალოცვილო, შენ ფოტოსთვის ვერ გაგიჩერებია და მე სექსისთვის როგორ გავაჩერო?

●●●

სარკინიგზო კატასტროფა. ლიანდაგიდან სპეცმატარებელი გადავარდა, რომლებშიც დეპუტატები ისხდნენ. ადგილზე მისულმა მაშველებმა აღმოაჩინეს, რომ ადგილობრივებს უკვე ყველა დეპუტატი დაემარხათ. ერთ-ერთს ეკითხებიან:

– კი მაგრამ, ყველა დეპუტატი დაიღუპა?!

– რა თქმა უნდა. მართალია, ზოგიერთი ცდილობდა დავეჯერებინეთ, რომ ცოცხლები იყვნენ, მაგრამ ხომ იცით, როგორი მატყუარები არიან.

●●●

ბიჭი გოგოს ეუბნება:

– გოგონი, თქვენ ისეთი ჭკვიანი, ლამაზი და კეთილი ხართ...

– ვაიმე, გავგიჟდი...

– ესეც შევნიშნე.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– ექიმმა მითხრა, რომ სამთო-სათხილამურო სპორტისთვის ვარ დაბადებული.

– ეგ რაში გამოიხატება?

– ძვლები სწრაფად მიხორცდება!

●●●

ბიჭს გოგონას გაშაყირება სურს და ეკითხება:

– გოგონი, თქვენს მახლობლად ცხვრების ფარას ხომ არ ჩაუვლია?

– რა, ჩამორჩი?

●●●

ქალი მამაკაცს ეუბნება:

– თქვენ, მამაკაცებს, მხოლოდ ის გეხერხებათ, რომ ქალების მკერდს მისჩერებიხართ!

– და შენ ფიქრობ, რომ თუ შარვალგახსნილი ვივლი, მხოლოდ თვალებში მომაჩერდები?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა


# სერია „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო – 100 წიგნი“ გრძელდება

10 აგვისტოდან
ტომი 50
პინოჩეტი




ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

17 აგვისტოდან
ტომი 51
იულიუს კეისარი




ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

24 აგვისტოდან
ტომი 52
ლინკოლნი




ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი


# ვალვერდე: „პაულინიო გაგვაძლიერებს“



ბარსელონას მთავარი მწვრთნელი ერნესტო ვალვერდე ბრაზილიელი ნახევარმცველის პაულინიოს ტრანსფერს დადებითად აფასებს.

ვალვერდეს თქმით, ბარსელონას სწორედ პაულინიოს მსგავსი ფეხბურთელი სჭირდება.

– პაულინიო ძალიან ძლიერია ფიზიკურად და ორთაბრძოლებს თითქმის არასოდეს აგებს. ბარსელონას არ ჰყავს მისი ტიპის ფეხბურთელი, ამიტომ ვფიქრობ, რომ ის ძალიან გაგვაძლიერებს, – განაცხადა ერნესტო ვალვერდემ.

პაულინიო ბარსელონაში დღეს ჩაფრინდება და გუნდთან კონტრაქტს ოფიციალურად მოაწერს ხელს.

მის ტრანსფერში ბარსელონამ 40 მილიონი ევრო გადაიხადა.

# ხესე როდრიგესი სტოკ სიტის ფეხბურთელი გახდა



ესპანელი ფორვარდი ხესე როდრიგესი ინგლისური სტოკ სიტის ფეხბურთელი გახდა და მინიმუმ ერთ წელიწადს ინგლისში გაატარებს.

სტოკმა ხესე იჯარის წესით შეიძინა პსჟ-სგან, რომელსაც ეკუთვნის უფლებები ესპანელ ფეხბურთელზე.

ხესე როდრიგესი მადრიდის რეალის აღზრდილია და ამ გუნდში მან რამდენიმე სეზონი ჩაატარა, თუმცა მაღალი კონკურენციის გამო, ძირითად შემადგენლობაში ადგილის მოპოვება ვერ შეძლო და საბოლოოდ რეალმა ის პსჟ-ს მიჰყიდა.

საფრანგეთში ხესემ ვერ შეძლო კარიერის აწყობა და ამჯერად მას ინგლისის პრემიერ ლიგაში ეძლევა შანსი, რომ თავისი შესაძლებლობები კიდევ ერთხელ წარმოაჩინოს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

# კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. თეატრი ლონდონში, სადაც იდგმებოდა შექსპირის ტრაგედიები; 2. თიხის, ცეცხლგამძლე ლაბორატორიული ჭურჭელი; 3. ქართველი ფეხბურთელი ძმების გვარი; 4. ბიზანტიელ ისტორიკოსთა კრებული საქართველოს შესახებ; 7. ტვირთის უწყვეტად გადამტანი მოწყობილობა საწარმოში; 8. ლითონის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 12. პატარა ქირურგიული დანა; 14. აეროპორტი სოხუმის მახლობლად; 16. სისხლის წნევისა და გულის მოქმედების ერთდროული დაქვეითება, რომელსაც თან სდევს გონების დაკარგვა; 17. ჭადრაკის პარტიის დასაწყისი პაიკის ან ფიგურის შეწირვით; 19. სათამაშოების მწარმოებელი დანიური ფირმა; 20. ოჩიაურის ქანდაკება ბიჭვინთაში.

**თარაზულად:** 5. ჩეჩენთა და ინგუშთა საერთო სახელწოდება ძველად საქართველოში; 6. ქართველი პიანისტი ქალი; 9. ტყის ვაშლი; 10. პატარა სასაუზმე გერმანიაში; 11. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი სადაზღვევო კომპანია; 13. კანიონი ხონის რაიონში; 15. ქართველი მგოსანი; 18. მდინარეზე, ხეობაზე გადებული ბაგირებზე დაკიდებული ხიდი; 21. სამონასტრო კომპლექსი გურიაში; 22. მარგალიტის ყელსაბამი; 23. უნგრული ჯარის ძველი სახელწოდება.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

